საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რომელიც ბოქდ-ვუტი სიფცქვაა, ფაქიოლებით და ჭოტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 25 მარტი. 2017 წ. №64 (8201), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

პროკურატურა სასამართლოს ე.წ. ციანიდის საქმის არსებითი განხილვის გადადებას ითხოვს

საქართველოს **მთავარი პროკურატურა ე,წ, ციანიდის საქმის წინასასამართლო სხდომის გადადებას ითხოვს.** „მოცემულ საქმეზე სრულყოფილი და ობიექტური გამოძიების წარმოების მიზნით, ინტენსიურად გრძელდება გამოძიება, დანიშნულია სხვადასხვა სახის ექსპერტიზა, მათ შორის, ბიოლოგიური, ქიმიური, სამედიცინო, ტოქსიკოლოგიური, ჰაბიტოსკოპიური, ფონოსკოპიური და კომპიუტერული ექსპერტიზები, რომლებიც სირთულისა და დიდი მოცულობის გამო ამ ეტაპისათვის დასრულებული არ არის“. **„ამასთან, ჩამოთვლილი ექსპერტიზების დასრულებისა და შესაბამისი დასკვნების მიღების შემდეგ, საქმეზე ჩასატარებელია არაერთი შემხვედრი და აუცილებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება. ასევე საქმეზე დასაკითხია არაერთი მოწმე. იმის გათვალისწინებით, რომ საქმეზე ჩასატარებელი ამ და სხვა აუცილებელი საგამოძიებო-საპროცესო მოქმედებების ჩატარებისათვის სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადა არ არის საკმარისი, საქართველოს პროკურატურის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება გიორგი მამალაძის ბრალდების საქმეზე საგამოძიებო და შესაბამისად წინასასამართლო სხდომის გონივრული ვადით — ერთი თვით გაგრძელების თაობაზე. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, 2017 წლის 24 მარტს საქართველოს პროკურატურა შუამდგომლობით მიმართავს თბილისის საქალაქო სასამართლოს, საქმეზე განსაზღვრული წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელების თაობაზე“,** — განაცხადეს პროკურატურაში“.

თბილისის მერია გარემოვაჭრეებს კანონმდებლობის სრული დაცვით ეპყრობა!

თბილისის მერია გარემოვაჭრეების პროტესტს ეხმიანება და აცხადებს, რომ მერია მოქმედებს კანონმდებლობის სრული დაცვით.

გვინდა, ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ გარემოვაჭრეებს როგორც ადრე, ისე ახლაც მიეცათ გაფრთხილება უკანონო საქმიანობის აღკვეთის თაობაზე, რასაც მათი მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია, შესაბამისად, თბილისის მერია მოქმედებს კანონმდებლობის სრული დაცვით და გაფრთხილებისამებრ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მათ უკანონო საქმიანობის განხორციელების უფლება აღარ მიეცემათ.

ამასთან, ბაზრობების ასოციაციასთან გამართული მოლაპარაკებების შედეგად, ასოციაცია გამოთქვამს მზადყოფნას დაუყოვნებლივ, შეღავათიანი პირობებით 6 თვის ვადით სავაჭრო ადგილი დაუთმოს თითოეულ მათგანს. ბაზრობების დირექცია მეწარმეებს ყველა პირობას შეუქმნის საკუთარი პროდუქციის კონკურენტუნარიან პირობებში რეალიზაციისთვის.

დღის ამოჭრაზურიდან

კვესიტაძის ხუთშაბათის „აქცენტები“

— საიქიოსამზეოში დისკვალიფიცირებული მეაქცენტე ჟურნალისტი კვესიტაძის ქალი, ეკატერინე, რომელმაც უკვე მოასწრო ბინძური ცილისწამებით ცოცხლების გვარიანად შეურაცხყოფა, ახლა მკვდრებს მიადგა როგორც საიქიოს დამწყები მეჯოჯოხეთე.

— ამ საქმეში თვითონ კი დამწყებია, მაგრამ ხო ნახე, მრჩევლებად სიკვდილ-დაკრძალვის სპეციალისტები ჰყავდა მიწვეული — მწერალი ლაშა ბუღაძე, პიესა „პანთეონის“ უკვდავებასთან მოთამაშე ავტორი და დასაფლავების საკითხში ფრიად გათვითცნობიერებული „ცნობადი“ სოცილოგი ემზარ ჯგერენაია.

— ასეა, ასე, გენაცვალე, სტრასბურგის პასუხის მოლოდინში „ცრუსთავი-2“-მა რაღაც სიკვდილის თემას დაუწყო წინ წამოწევა... როგორც ჩანს, ეკუნიას გული რაღაცა ცუდს უგრძნობს...

ჩაიწერა
კეკე ტალკვესაძემ

ყარამანაშვილებისთვისაც გაუგებარია, რას გულისხმობდა გვარამია!

„რუსთავი-2“-ის მფლობელები ლევან და გია ყარამანაშვილები ტელეკომპანიის თანამშრომელთა შეთავაზებაზე განცხადებას ავრცელებენ და მზადყოფნას გამოთქვამენ, აქციათა საკონტროლო პაკეტი დათმონ.

„გვსურს, გამოვეხმაუროთ ნიკა გვარამიას ბრიფინგს, რომელიც გაიმართა ჩვენი შეთავაზების საპასუხოდ. საზოგადოებას შევახსენებთ, რომ ჩვენი ინიციატივა იყო „რუსთავი-2“-ის მთელი კოლექტივისთვის ტელეკომპანიაში ჩვენი წილების უსასყიდლოდ გადაცემა. გაკვირვებული ვართ, რომ ამ შეთავაზების პასუხად მივიღეთ ერთგვარი ულტიმატუმი, რომ გადაგვეცა არა შეთავაზებული 40%, არამედ ტელეკომპანიის საკონტროლო პაკეტი, ისიც, როგორც ჩანს, მხოლოდ კოლექტივის ერთი ნაწილისთვის. ჩვენი ინიციატივა არის არა ფიქცია, როგორც ეს ბრიფინგზე ითქვა, არამედ რეალური გზა იმისკენ, რომ ყველა თანამშრომელმა დამსახურებულად მიიღოს კონკრეტული ფინანსური სარგებელი როგორც კი ტელეკომპანია გავა მოგებაზე, რისი ყველა წინაპირობა არსებობს ივანიშვილის მხრიდან ტელეკომპანიის დევნის შეწყვეტის შემდეგ.

გაუგებარია, თუ რას გულისხმობდა გენერალური დირექტორი, როცა საუბრობდა იმაზე, რომ ჩვენი შეთავაზება „პრაქტიკულად არ ცვლის საქმის ვითარებას“. რის შეცვლაზეა საუბარი? ჩვენ არასდროს ჩავრეულვართ ტელეკომპანიის სარედაქციო პოლიტიკაში, რომელსაც ყოველთვის თავად მენეჯმენტი და ჟურნალისტები განსაზღვრავდნენ. ეს ასე იქნება მომავალშიც.

არ გვინდა, საზოგადოება და ჩვენი კოლექტივი დავღალოთ იურიდიული ნიუანსებით. თუ საუბარია ჩვენი ინიციატივის სანდოობაზე, უსაფუძვლო ეჭვების გასაქარწყლებად, ვადასტურებთ, რომ მზად ვართ, კოლექტივს გადავცეთ 51% ტელეკომპანია „საქართველოში“, რომელიც თავის მხრივ არის „რუსთავი-2“-ის 51%-ის მესაკუთრე. ეს ნიშნავს, რომ ტელეკომპანიის მართვა მთლიანად კოლექტივის ხელში გადავა. გთავაზობთ, ამით დასრულდეს ამ თემაზე საჯარო დისკუსია და გადავიდეთ კონსულტაციების საქმიან რეჟიმში, როგორც ჩვენს თავდაპირველ განცხადებაში იყო შემოთავაზებული, რათა წილები გუნდის წარმომადგენლებს გადაუნაწილდეთ ღიად და სამართლიანად.“



რედაქციისგან:

ყოჩაღ, ძმებო ყარამანაშვილებო! — „რუსთავი-2“ მხოლოდ ძაღლადზე იყო თქვენი და ამ ცარიელ „ხელშეკრულებაში“ 40 პროცენტს ჩაწერთ თუ 51-ს, რა მნიშვნელობა აქვს? მთავარია, კეთილი ბიჭების სახელი დაიგდოთ ტელევიზიაში კანონიერი მფლობელის დაბრუნების წინ...

...მართლა არ იცით, რას გთავაზობთ ჯოჯოხეთის მოციქული გვარამია?.. ცოტაც მოიცადეთ და უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება ყველაფერს გაგაგებინებთ თქვენც, „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტებსაც და სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოსაც...

რამაზ საყვარელიძე:

პრეზიდენტი, როგორც ღირებულება, უკვე მოსწონილია!

ცნობილი ფსიქოლოგი, ექსპერტი **რამაზ საყვარელიძე** „რეპორტიორთან“ საუბარში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურა და პრეზიდენტის არაადეკვატურ მოქმედებებსაც შეეხო.

— პრეზიდენტმა მოსმენების შესახებ კანონს ვეტო დაადო, რომელიც პარლამენტმა დაძლია... ბოლო პერიოდში აშკარა დაპირისპირებაა პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და პარლამენტს შორის. როგორ შეაფასებთ გიორგი მარგველაშვილის ბოლოდროინდელ მოქმედებებს და რას უკავშირებთ ამას?

— ალბათ, კარგი იქნება, ყველა მხარემ რომ იფიქროს იმაზე, რა შთაბეჭდილებას ტოვებს მოსახლეობაზე მათი ესა თუ ის ნაბიჯი. ისევ პრეზიდენტსა და ხელისუფლებას შორის დაპირისპირება, ღიმილისმომგვრელი ვეტო, რომლის მიმართაც სერიოზული დამოკიდებულება აღარ არის. არც იმის მიმართ აღარ არის სერიოზული დამოკიდებულება, რომ პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში იქნება მოსმენების სამსახური... გამოიკითხონ, მოსახლეობის დიდ ნაწილს სულ არ აწუხებს მოსმენების თემა, არ არის იმდენად მწვავე. ქვეყნის მოსახლეობის ყურადღების კონცენტრაცია ამ საკითხზე, ამდენი ხნის განმავლობაში, გამაღიზიანებელია, იმ ფონზე, როცა საწვავზე აქციზი გაიზარდა და ამან გაზარდა მთელი რიგი საქონლის ფასები — ეს პრობლემა გაცილებით ნაკლები მსჯელობის საგანია. არაეფექტური ნაბიჯები ეკონომიკაში სახელმწიფოს უშიშროებისთვის კითხვის ნიშანს არ აჩენს? როდესაც ბათუმი გაქვს ზურგს უკან, რომელიც მიკროჯანყია, რაც შეიძლება ყველამ გამოიყენოს, არ დგას უსაფრთხოების საბჭოს წინაშე ასეთი ამოცანა? თუ მარტო მოსმენები და NATO-ს წევრობაა მოსახლეობისთვის აქტუალური? თუ იმას არ შეიტან პოლიტიკურ დღის წესრიგში, რაც მოსახლეობისთვის აქტუალურია, იმას შენი პოლიტიკოსობა აღარ დააინტერესებს, გინდ პარლამენტარი იყო და გინდ პრეზიდენტი. ყბადაღებული გვაქვს, რომ საპარლამენტო არჩევნებზე მოსახლეობის ნახევარი არ მოვიდაო, ახლა შეიძლება მეოთხედიც სანატრელი გაგვიხდეს, იმდენად მოსწყინდა ხალხს. პოლიცია თურმე ნარკოტიკებს უდებს, ისმენს — პოლიციის ღირებულება უკვე გადავაგდეთ. პრეზიდენტი ჭირვეულობს — პრეზიდენტი, როგორც ღირებულება, უკვე მოხსნილია, პარლამენტი ხელს უწყობს მოსმენებს — პარლამენტიც უკვე გადაგდებულია... საპატრიარქო იყო ერთადერთი იმედი და ისეთი ტალღაა წამოსული, რომ უკვე ერთი ადამიანის იმედიღა რჩება... ცოდოა ეს ხალხი... ამ ფონზე, 2017 და 2018 წლებში, შესაძლოა, არჩევნების ჩატარება გაგვიჭირდეს... ამაზე თუ დაფიქრდებიან პოლიტიკოსები, კარგს იზამენ...

ესაუბრა
მარიამ პაიჭაძე

თავდაცვის სამინისტრო სარეზერვო სამსახურს ქმნის

თავდაცვის სამინისტრო აქტიური ე.წ. სარეზერვო სამსახურის შემოღებას გეგმავს. თავდაცვის მინისტრის მოადგილის **ნუკრი გელაშვილის** განმარტებით, აქტიური სარეზერვო სამსახური სამი კომპონენტისგან იქნება შემდგარი: შეიარაღებული ძალების რეზერვი, ტერიტორიული რეზერვი და სპეციალისტების რეზერვი. სამივე ტიპის რეზერვს თავის სპეციფიური დანიშნულება ექნება.

„თავდაცვის სამინისტრო ინტენსიურად მუშაობს სამხედრო რეზერვის კონცეფციის შემუშავებაზე. ამ პროცესში ყველა სტრუქტურული ერთეულია ჩართული: გენერალური შტაბი, ეროვნული გვარდია და სამოქალაქო ოფისი. კონცეფციის პროექტი უკვე წარვუდგინეთ ექსპერტებს. გავითვალისწინეთ რიგი შენიშვნები და წინადადებები. გვსურს, პროექტი განვიხილოთ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტთან და მოვისმინოთ დეპუტატების პოზიცია“, — განაცხადა ნუკრი გელაშვილმა.

* * *

თავდაცვისა და **უშიშროების კომიტეტის სხდომაზე დეპუტატებს სამხედრო სარეზერვო სამსახურის კონცეფციას თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო უსაფრთხოების სამმართველოს უფროსის მოადგილე გიორგი თავდგირიძე აცნობს.**

მისი თქმით, ტერიტორიული რეზერვის რეზერვისტი ანაზღაურებას მიიღებს.

გიორგი თავდგირიძის განმარტებით, **„ტერიტორიული რეზერვის შექმნა დაგეგმილია აქტიური სარეზერვო სამსახურის ფარგლებში, რომლის ამოქმედებასაც სარეზერვო სამსახურის ახალი კონცეფცია ითვალისწინებს. რეზერვი გამოყენებული იქნება არა მხოლოდ მასობრივი არმიების შესაქმნელად — გლობალური ომებისათვის, არამედ სამოქალაქო პირი გამოყენებული იქნება ტერიტორიის მიხედვით და სადაც ის ცხოვრობს, მომზადებას იმ ტერიტორიულ არეალში გაივლის. ამასთან, რეზერვისტობა ნებაყოფილობითი იქნება და დაგეგმილია 12 000-იანი დაჯგუფების შექმნა“.**

დასავლეთი გვითვლის, რომ ჯერ კიდევ ბევრი გაქვთ გასაკეთებელი, მაგრამ რუსეთი ამდენს დაგვაცლის?!

„პუტინმა მკაფიო მესიჯი მიიღო, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის პრიორიტეტი არაა“, — ასე ეხმაურება ქართულ-რუსულ ურთიერთობებს „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი **ნინო ბურჯანაძე**.

მისივე თქმით, როცა საქართველოს ხელისუფლებაში მოდის ძალა, რომელიც, პრაქტიკულად, არ საუბრობს და არაფერს აკეთებს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტების მოსაგვარებლად, როცა პოლიტიკური დღის წესრიგიდან ამოღებულია ეს თემა, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ რუსეთი ყველაფერს გააკეთებს სათავისოდ. ნინო ბურჯანაძე თვლის, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკა კატასტროფულად გვაშორებს ტერიტორიული პრობლემების მოგვარებას და უკანასკნელ შედეგებსაც გვაკარგვინებს.

„რუსეთთან ურთიერთობის დალაგების ჩემს მიერ დაწყებული საქმე რომ გაგრძელებულიყო, დღეს აფხაზეთისა და სამაჩაბლოსთან მიმართებით პოზიტიური რეალობა გვექნებოდა“, — მიიჩნევს ბურჯანაძე.

დაივიწყეს თუ არა ქართველებმა ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა და რა მესიჯი მიიღო პუტინმა საქართველოსგან? რით აიხსნება ერთმანეთის მიყოლებით აფხაზეთში საზენიტო-სარაკეტო დანადგარების შეტანის, სამხედრო ძალების ზრდის გადაწყვეტილება, ან კიდევ ცხინვალის რეგიონის ცალკე დანაყოფების რუსული შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შეყვანის გეგმა? რამდენად უკავშირდება რუსეთის გაღიზიანება შავი ზღვის რეგიონში ნატოს გააქტიურებას?



პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** აცხადებს, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილის პრიორიტეტი აღარაა, რაც სოციალური პირობებით აიხსნება. პირველ ადგილზეა ჩვენი ხალხის მატერიალური გასაჭირი და უკვე მეორე-მესამე ადგილზეა ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა. ელემენტარულად, ყველაფერს განსაზღვრავს ყოფითი პირობები, არავის უნდა, რაღაც იდეის გამო შიმშილით მოკვდეს. ერთია, ბრძოლაში მოკვდეს ადამიანი და შეაკვდეს მტერს და მეორეა, ხელისუფლების არასწორი პოლიტიკა. სწორედ ამ არასწორი პოლიტიკის გამო არავინ აპირებს შიმშილითა და უმუშევრობით სიკვდილს.

„ეს ყველა ხელისუფლების ჭირია, განსაკუთრებით, ტოტალიტარულ რეჟიმებში არწმუნებენ ხალხს, თითქოს ისინი კარგად ცხოვრობენ. ახლანდელი ხელისუფლებაც ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ სოციალური პირობები შესაშურია. გუშინ ვუსმენდი ბათუმელ „მეოცნებეს“, რომელმაც ისეთი იდილია დახატა, კაცს შეშურდებოდა. თურმე 5%-იანი მატებაა ეკონომიკაში, 50 ათასი სამუშაო ადგილი შექმნილა. არადა, სწორედ ბათუმელები არიან გაცოფებულები და ამბობენ, რაც მიშას დროს იყო, იგივეა, ანუ შიმშილი, უმუშევრობა. ხალხი ევროპაში სამუშაოს შოვნის შანსს ელოდება, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი რამ ოფიციალურად იკრძალება. ამიტომ რა გასაკვირია, რომ ტეროტორიული მთლიანობა ნომერ პირველი პრიორიტეტი აღარ იყოს?! თვითონ ჩვენი ხელისუფლებისთვის არის კი ნომერ პირველი პრიორიტეტი საქართველოს მთლიანობის აღდგენა?“ — აინტერესებს სოსო ცინცაძეს და შეკითხვის საპასუხოდ, დროებითი ზავის ფონზე პერიოდულად რატომ გვსჯის რუსეთი, განმარტავს, რომ რუსეთი არასოდეს შეეგუება შავ ზღვაში ნატოს შემოსვლას.

პოლიტოლოგის განმარტებით, რასაკვირველია, ჩვენი მიზანია ნატოში ინტეგრაცია, მაგრამ ცაიტნოტში ვართ, არ გვაქვს იმის ფუფუნება, 10-15-20 წელი ველოდოთ, როდის მიგვიღებს ნატო. სოსო ცინცაძე მიიჩნევს, რომ სწორად შენიშნა ჩვენთან ჩამოსულმა უნგრეთის მინისტრმა, მეტი რა უნდა გააკეთოს საქართველომო?! მართლაც, მეტი რა უნდა გააკეთოს ამ პატარა ქვეყანამ, რომელსაც ავღანეთში 800 ჯარისკაცი ჰყავს გაგზავნილი და, თუკი სადმე საჭიროა ცოცხალი ძალა, მზად ვართ ყველაფრისთვის. ამის საპასუხოდ კი გვეუბნებიან, ჯერ კიდევ ბევრი გაქვთ გასაკეთებელიო, მაგრამ ამ ბევრის გასაკეთებელ დროს რუსეთი იძლევა?

ამას ემატება ისიც, რომ ბოლო ხანებში რუსეთს ნატოსგან მკვეთრი განცხადებები არ გაუგია. რუსეთი უყურებს იმასაც, რომ ვერ იქნა და ვერ მოვიდა ტრამპი ჭკუაზე ნატოსთან დაკავშირებით. მართალია, ამერიკის ახლანდელი პრეზიდენტი აღარ ამბობს, ნატო მოძველდა და უნდა დაიშალოსო, მაგრამ უარეს პირობებს აყენებს და, თუ ფულს არ დაუბრუნებენ, გაეროდან გასვლით იმუქრება. სოსო ცინცაძის აზრით, კიდევ ჩვენი ბედია, რომ რუსეთი თურქეთს არ გააჭაჭანებს შავ ზღვაში, აჭარაში. ეს ჩვენი სიყვარულით კი არ მოსდის, არამედ იმითაც, რომ თურქეთი მაინც ნატოს წევრია. ამიტომ თურქეთის მხრიდან ღია აგრესია გამორიცხულია და აქ უფრო საშიშია ე.წ. რბილი ძალის, ისლამიზაციის საფრთხე.

„რუსეთი იმიტომ გვსჯის, რომ მას არა მხოლოდ ტრამპმა, არამედ, როგორც ჩანს, „ოცნებამაც“ არ გაუმართლა იმედები. მე არ ვიცი, რისი იმედი ჰქონდა პუტინს, შეიძლება, კრემლში ფიქრობდნენ, სააკაშვილი წავა, მოვა სააკაშვილის მოწინააღმდეგე ძალა, რომელიც შეცვლის სააკაშვილის საგარეო პოლიტიკურ ვექტორს. თანაც, აქედან კეთდებოდა არადიპლომატიური განცხადებები, რომ საქართველო არ უნდა იქცეს რუსეთსა და ამერიკას შორის ურთიერთობის გაფუჭების ფაქტორად. როგორც გინდათ, ისე გაიგებთ ამ არადიპლომატიურ განცხადებას. ჩვენ სხვანაირად გვესმოდა, პუტინმა გაიგო ისე, როგორც აწყობდა, მაგრამ მოტყუვდა ამაში. უკვე ხუთი წელი გავიდა, რაც „ოცნებაა“ ხელისუფლებაში და პუტინს არავითარი სერიოზული დათმობა არ მიუღია. სწორედ ეს არის პუტინის გაღიზიანების მიზეზი.

არც იმას გამოვრიცხავ, ოფიციალურად რაღაც რეფერენდუმივით ჩაატარონ რუსებმა და ცხინვალის რეგიონი მიიერთონ. თავის დროზე ჩვენში არავის სჯეროდა, რომ რუსეთი აღიარებდა დე ფაქტო რესპუბლიკებს. ამბობდნენ, ეს გამორიცხულია, რადგან აქეთ ჩეჩნეთი აქვს რუსეთს, იქით — დაღესტანი, როგორ აღიარებს ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთს, ეს ხომ მისთვის ცუდი მაგალითი იქნებაო?! მაგრამ მშვენივრად აღიარა რუსეთმა. ახლაც, ალბათ, ცხინვალის რეგიონის მიერთებას დაიწყებს. რას იზამს დასავლეთი? ომს დაუწყებს? არაფერსაც არ იზამს, რუსეთს სანქციები ისედაც აქვს.

რაც შეეხება აფხაზეთს, რუსეთი ამ ტერიტორიას არ მიიერთებს. აფხაზეთი სულ სხვაა და ძალიან დიდი განსხვავებაა აფხაზი ხალხის ამბიციებიდან გამომდინარე. ოსებმა კი ჯერ კიდევ 20-იან წლებში პირველსავე რესპუბლიკის დროს რუსებზე აიღეს კურსი და მათ ეხმარებოდნენ. ოსებს ერთი რამ მაინც ესმით, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთი არ არის სიცოცხლისუნარიანი წარმონაქმნი. გინდაც, მთელმა მსოფლიომ აღიაროს, დამოუკიდებლად მაინც ვერ იარსებებს. აფხაზებს კი მაინც რაღაცის იმედი აქვთ.“

ექსპერტი **თორნიკე შარაშენიძე** საქართველოს მიმართ რუსეთის მორიგ გაღიზიანებას შავ ზღვაში ნატოს გააქტიურებას ნაკლებად უკავშირებს. მისი აზრით, აფხაზეთში ანტისარაკეტო სისტემების განთავსება კიდევ შეიძლება კავშირში იყოს შავ ზღვასთან, მაგრამ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო პრეზიდენტ თიბილოვთან შეხვედრა არანაირ კავშირში არ არის ნატოს გააქტიურებასთან შავ ზღვაში.

„პუტინმა ჩვენგან მიიღო მესიჯი, რომ ქართველებს გაცილებით მეტად უღირთ რუსი ტურისტები, ვიდრე სხვა რაღაცები. თუ მისაერთებელია, ცხინვალის რეგიონს უფრო მარტივად მიიერთებს რუსეთი, მაგრამ არა მგონია, ეს პროცესი კრემლმა მალევე დაიწყოს, მაინც რაღაცას დაელოდებიან. აფხაზეთს კი ვერ მიიერთებენ, რადგან იქ რეფერენდუმი არ ჩატარებულა და აფხაზებს სულაც არ სურთ რუსეთთან მიერთება. რაც არ უნდა ილუზორული იყოს აფხაზების დამოუკიდებლობა, მაინც დამოუკიდებლობა ურჩევნიათ. რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, საინტერესოა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის რა რეცეპტი აქვს ამ ადამიანს?“, — აცხადებს თორნიკე შარაშენიძე და გამოსავალს რუსებისთვის პრობლემების შექმნაში ხედავს.

მისი თქმით, ჩვენ რუსებს პრობლემებს არ ვუქმნით, პირიქით, ისინი კომფორტულად გრძნობენ თავს საოკუპაციო ხაზთან, იტაცებენ მოსახლეობას, გვიკლავენ ადამიანებს. ამაზე არ ვპასუხობთ, რის გამოც რუსები ფიქრობენ, რომ ქართველები ყველაფერს მარტივად ყლაპავენ.

ამიტომ, თორნიკე შარაშენიძის აზრით, რუსეთთან მოლაპარაკება კარგია, არსებული ფორმატებიც ნორმალურია, მაგრამ მათ უნდა დავანახვოთ, რომ ყველაფერს რუს ტურისტებზე არ გავყიდით.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

ჩაუდეს თუ არ ჩაუდეს, ანუ ვინ ვის უდებს!...

ქვეყნის მავნებელ ნაციონალებს და ნაციონალთა ბოროტი სიტყვის მფრქვეველ „ცრუსთავი-2“-ს საჭირო და სამამაძაღლო თემატიკა არ ელევათ, უფრო სწორად, თვითონ არ ილევენ. თუ რამ კბილმოსახვედრი მოხდა, ხომ კარგი, თუ არადა, გამოგონებას რა უნდა, მით უმეტეს, როცა ამ საქმისთვის საგანგებოდ დაქირავებული სცენარისტებიც კი ჰყავთ, რომელთა ანტისაოცნებოდ ნაცოდვილარი სიუჟეტები, ძალად გაიუმორისტებული ვანოსი არ იყოს, ჯავახიშვილისა, ბევრს ათუთიყუშებენ და კეთილგონიერი მაყურებლის თვალში საკუთარი თავის გაპამპულავებელნი უფრო ჩანან, ვიდრე სხვათა ტალახში ამომსვრელნი.

აი ახლა, მაგალითად, ხელისუფლების კრიჭაში ჩამდგარი „ცნობადი სახეების“ ნაშიერთათვის ნარკოტიკების ჩადების თემა გაამწვავეს, გაამძაფრეს, გააყოველდღიურეს.

მე არც ვიცოდი, თუ ჩვენს ფილოსოფოს ვეტო პრეზიდენტს პირველი ქორწინებიდან ასეთი თვალმწყაზარი ქალიშვილი ჰყავდა, რომლის მეგობარ ახალგაზრდა ვაჟს ჩვენმა პოლიციამ თურმე მხოლოდ იმიტომ, რომ „ურჩი“ პრეზიდენტის ქალიშვილის გულის სწორი თუ უბრალოდ მეგობარია, არც აციეს, არც აცხელეს და შარვლის მარჯვენა ჯიბეში (იქნებ მარცხენაში, ზუსტად ვერ ვიტყვი) ნარკოტიკი ჩაუდეს... (როგორც ამბობენ, იმ ჯიბეში სხვა დროსაც უპოვიათ ეს ნივთიერება).

ანა გიორგის ასულმა მარგველაშვილმა თავად საქვეყნოდ განაცხადა ახალგაზრდა მეგობრის „შეურაცხყოფაზე“ ნაციონალთა ორფეხა ბუკ-ნაღარასთან გიორგი ჯულიეტას ძესთან სტუმრობისას ეგრეთ წოდებულ „არჩევანში“. ანა თავშეკავებულად გაცეცხლებული იცავდა თავის უბრალოდ მეგობარსა თუ გულის სწორს და იმის მეტყველებაში აშკარად გამოსჭვიოდა ერთგვარი მუქარა როგორც პოლიციის, ისე იმ ადამიანების მიმართ, ვინც პოლიციას „ასეთი ბინძური საქმეებისთვის იყენებს“, რაც შეიძლება რომ ასე ითარგმნოს: **მე ანა მარგველაშვილს, თვით პრეზიდენტის, ქვეყნის პირველი პირის ქალიშვილს, როგორ მაკადრეთ, ჩემი მეგობრისთვის ნარკოტიკის ჩადებაო...**

თუ ძველ კუდიანებზე ნადირობას გავიხსენებთ, ეს ახლა ეგრეთ წოდებული „ჩადებები“, როგორც ჩანს, ხელისუფლების ნარკოპოლიტიკის ერთგვარ ტაქტიკად უნდა მივიჩნიოთ და ახლა უკვე, ანგელოზებზე ნადირობად“ უნდა განვიხილოთ.

აბა, სხვანაირად როგორ უნდა წარმოვიდგინოთ გინდ პრეზიდენტის ოჯახის ახლობლის ჯიბეში ნარკოტიკი და გინდ ისეთი შმაგი ოპოზიციონერი ჟურნალისტის, როგორიც გაზეთმყრალი ელისო კილაძეა, ვაჟისთვის, უფრო სწორად, უმანკო ანგელოზი ვაჟისთვის ნარკომანობის დაბრალება! გაგიგიათ ასეთი შუმი უსამართლობა?!

არა, პრეზიდენტმა რომც აპატიოს, კალამხმალა ელისო კილაძე არც ხელისუფლებას და, მით უმეტეს, არც პოლიციას და პირადად შინაგან საქმეთა მინისტრს არ აპატიებს ასეთ ცილისწამებას (ცილისწამებაში ელისო მოგეხსენებათ დიდოსტატია) და აკი არც აპატია! მეორე დღესვე მთავრობას უკანვე მიაშავა თავისი ძველი პოლიციელი ქმრის მამაცობისთვის მიღებული მედალი. ეტყობა, თავის ჩინ-მედლებს ჯერჯერობით ვერ იმეტებს! სამაგიეროდ, მალე ვნახავთ, რა შავ დღესაც დააყრის „ცნობადი“ ჟურნალისტი ელისო თავისი ავად დანაღმული გაზეთით „ოცნების“ ხელისუფლებას. ჩადება როგორ უნდა და ჩადებულის აფეთქება, ელისო გიჩვენებთ! სიმართლისთვის ასე თავგადადებულად ამდენი ხანი ტყუილად ხომ არ იბრძვის!

ნუთუ არა კმარა ადვოკატთა ფედერაციის თავმჯდომარის უკვე ყელში ამოსული ზაზა ხატიაშვილის ტელევარსკვლაობა?! ნუთუ მისჯილი გვაქვს ამ იაფ სახელს გამოდევნებული კაცის ყოველდღიური ტელეშოუები?! ნუთუ საქართველოში ჩაგრულ და ბედმლაშე ადამიანებს ამ აშკარად პატივმოყვარე თავმჯდომარის მეტი მფარველი არავინ არა ჰყავს?

მე შენ გეტყვი, დამცველებიც ეგრევე არ გამოუჩნდნენ. „რუსთავი-2“-მა კიდევ ერთი საკბილო წამოაგო თავის დემაგოგიურ ანკესს. თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო, „რუსთავი-2“-ს ტოლს არ უდებენ არც სხვა ტელევიზიები, მაგალითად, აქუს „კავკასია“, რომელმაც მთელი ერთი საათი ავექილა ვინმე ადვოკატი კუპრავა, რომელმაც ანგელოზის ორი ფრთა არ აკმარა ელისოს ვაჟს დავითს, სამართალდამცველთა ბადეში პირველად არმოხვედრილს, კიდევ რამდენიმე ფრთა დაუმატა და კარგა გვარიანად ჭუჭყიან ჩვარში გამოკრა ხელისუფლება, ნარკოტიკების ჩადების ბინძურ ხერხს თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებსო...

იქვე უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა იმ აღმაშფოთებელ გარემოებაზე, რაც ამ ბოლო დროს ტელევიზიაში ფასიანი ადვოკატების შემოსევით შეიქმნა... ვისაც კი სამართალი შეეხება, ტელეეკრანს ეგრევე ადვოკატები იპყრობენ, და რა გამოდის? რა და, თურმე ყველა ეჭვმიტანილი მართალია, დამნაშავე თურმე თვითონ პოლიციაა, რომელიც თავისი ოპერატიული და შედეგიანი მუშაობის წარმოსაჩენად ცამდე ალალმართალ ადამიანებს იჭერს.

მაყურებელი აშკარად დაბნეულია, ვეღარ გაურჩევია მტყუან-მართალი. საზოგადოება სრულიად სამართლიანად ითხოვს პოლიციისგან მართლწესრიგის დაცვას, ეს ფასიანი ადვოკატები კი ტელეეკრანებიდან სწორედ პოლიციასა და პოლიციელებს უტევენ, უუნაროობასა და არაპროფესიონალიზმს სწამებენ განურჩევლად ყველა სამართალდამცველს, რა არი როგორმე ნამუსი მოსწმინდონ თავიანთ დაცვის ქვეშ მყოფ არცთუ იშვიათად დამნაშავეებს.

ამ თვალსაზრისით, სრულიად სამართლიანად გვეჩვენება საზოგადოების ბევრი წარმომადგენლის აზრი, საჭიროა თუ არა ადვოკატთა მხრიდან ტელეეკრანებზე ჯერ კიდევ ბოლომდე გამოუძიებელი საქმეების გარჩევა.

ნუ გადავაქციეთ თავიანთ სინდისთან გარიგებული ადვოკატები ტელევარსკვლავებად.

ნუთუ არა კმარა ადვოკატთა ფედერაციის თავმჯდომარის უკვე ყელში ამოსული ზაზა ხატიაშვილის ტელევარსკვლაობა?! ნუთუ მისჯილი გვაქვს ამ იაფ სახელს გამოდევნებული კაცის ყოველდღიური ტელეშოუები?! ნუთუ საქართველოში ჩაგრულ და ბედმლაშე ადამიანებს ამ აშკარად პატივმოყვარე თავმჯდომარის მეტი მფარველი არავინ არა ჰყავს?

ერთი სიტყვით, ნათქვამი რომ არის, შენი თავხედობა ჩემი სიბეჩავის ბრალიაო, სწორედ ისეთი მდგომარეობაა დღეს საქართველოში. ხელისუფლება ლიბერალური დემოკრატიის დამკვიდრების საბაბით თავს იბეჩავებს, ანუ საჭირო კანონიერ სიმკაცრეს ვერ იჩენს, ამით კი უწინარესად სარგებლობენ სააკაშვილის ნარჩენები და ამ ნარჩენებს მიტმასნილი მუქთა სავარძლების მოტრფიალე პარტიების ძალით გაღვთისნიერებული ლიდერები, რომლებიც თავიანთვის არასასურველი მთავრობისთვის მხოლოდ და მხოლოდ იდეოლოგიური ნაღმის ჩადებით არიან დაკავებული.

თუ „ოცნებისთვის“ სახელის გატეხას ვიგულისხმებთ, ეს მიზანი, სამწუხაროდ, რამდენადმე მიღწეული აქვთ.

სახელის გატეხას კი, თავის გატეხაც რომ მოსდევს, ესეც, საუბედუროდ, ხშირად ამხდარა.

გურამ წიკლაური

ბუკას ეკამ საზმაუს 30 ათასი ლარი წაჰგლიჯა!

ჟურნალისტ ეკა მიშველაძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ასმათ კოხრეიძის გადაწყვეტილებით, ბათილად არის ცნობილი სსმ-ის ყოფილი დირექტორის გიორგი ბარათაშვილის 2016 წლის 11 თებერვლის ბრძანება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა ეკა მიშველაძისთვის კომპენსაციის სახით 30 ათასი ლარის, ხოლო ბიუჯეტის სასარგებლოდ — სახელმწიფო ბაჟის 900 ლარის გადახდა. მოსარჩელე მხარის დანარჩენი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა.

ყოჩაღ მოსამართლეს! „დანგრეულ“ საზოგადოებრივ მაუწყებელს კიდევ ეს უნდოდა?!

საძალაძე სასამართლომ კოხრეიძის გადაწყვეტილება საapელაციოში გაასაჩივრა!

„ბიოსისტერნა“ პრეზიდენტი „წონის ნაკლებობას“ უჩივის!

როდესაც უფლებას მართმევ, ხომ უნდა ამიხსნა, რით იქნება ჩემი ცხოვრება უკეთესი, — ამის შესახებ გიორგი მარგველაშვილმა პრეზიდენტის არჩევის წესის შეცვლაზე საუბრისას განაცხადა.

„საზოგადოებას, რომელიც პრეზიდენტის არჩევის უფლებით დამოუკიდებლობის პირველი დღეებიდანაა აღჭურვილი, ეს უფლება უნდა შეუნარჩუნდეს. პირველ რიგში, ეს არის ჩვენი, როგორც ამომრჩევლის, უფლება. როდესაც უფლებას მართმევ, ხომ უნდა ამიხსნა, რით იქნება ჩემი ცხოვრება უკეთესი. პოლიტიკოსების ბევრი განცხადება მომისმენია, იმასაც ამბობდნენ, არჩევნებზე წასვლით ხალხს ნუ დავღლით, არ გვინდა, ისხდნენ სახლში წყნარად ტელევიზორებთანო. ეს არგუმენტები კომიკურია. მოქალაქეობრივ უფლებას რომ მართმევ, უნდა მითხრა, რატომ მართმევ. პრეზიდენტს მაღალი პოლიტიკური მანდატი აძლევს უფლებას, განაცხადოს საკუთარი აზრი და ჰქონდეს მაღალი წონა. 300-400 კაცი თუ აირჩევს, მაღალი წონა აღარ ექნება და გაქრება ძალთა ბალანსიდან. ხელისუფლება უნდა იყოს დაბალანსებული და ყველა შტოს უნდა ჰქონდეს საპირწონე“...

11 აპრილს გავცემ ყველა კითხვას პასუხს — ნარმანია საკრებულოში

11 აპრილის საკრებულოს სხდომაზე თბილისის მერი წლიური ანგარიშით წარდგება. დავით ნარმანიას თქმით, ის აპირებს, რომ პასუხი გასცეს დეპუტატების მიერ დასმულ ყველა შეკითხვას, მათ შორის, მოსამართლე ნაზღაიძის ოჯახისთვის გადაცემულ ქონებაზე:

„11 აპრილს საკრებულოს წინაშე წლიური ანგარიშით წარვდგები. ასევე, ვისაუბრებ 2017 წლის გეგმებზე, იმ პროექტებსა და პროგრამებზე, რომელსაც ჩვენ უკვე ვახორციელებთ და ასევე გავცემ ყველა იმ კითხვას პასუხს, რაც შესაძლოა, აინტერესებდეთ საკრებულოს დეპუტატებს,“ — განაცხადა დავით ნარმანიამ.

ნაცები

ქურდბაცაცა ჭია, ორღა ინტრიგანი

ყველა უსინდისო და უნამუსო, თაღლითი და ყალბისმქმნელი, უმსგავსი, თვალთმაქცი, ფლიდი და ყველაფრის მკადრებელი, შავის თეთრად წარმომჩენი და ყველაფერზე წამსვლელი არსებები პირად ცხოვრებასა და სამსახურებრივ კარიერას ყოველთვის წარმატებულად და მოსაწონად იწყობენ. ამ კატეგორიის ყველა ასეთ არსებას საერთო ეროვნება, გვარ-სახელი აქვთ — ისინი კოსმოპოლიტები და მანქურთები არიან. მიხეილ სააკაშვილის ნაციონალური ბანდა სწორედ ასეთი არსებებით არის გამოტენილი.

პლატონმა ბრძანა: „ტირანი იახლოვებს თავისნაირთ, ჭკვიანნი და გონიერნი სძაგსო“. ჰოდა, ნაციონალების ბელადმაც თავისი მსგავსნი შემოიკრიბა, ჭირის დღესავით რომ სძულთ და ეზიზღებათ საქართველოც და ქართველებიც. ყოველთვის მზად რომ არიან საღალატოდ და გასაყიდ-გასაწირად.

ჩვენდა დასაღონებელ-სავალალოდ, თურმე ბევრნი გამოჩეკილან მაცხოვრის გამყიდველის ჩამომავალ-ნაშიერნი, ნაციონალებისგან ძალაუფლების მიტაცებისთანავე რომ გამოსრიალდნენ სამზეოზე და გამალებულები რომ შეუდგნენ ქართველების სამშობლოს ნგრევა-გაცამტვერებას. ამაში იუდას ნაშიერებს დიდ ფულს უხდიან და კიდევ უფრო ბევრს ჰპირდებიან დავალების რაც შეიძლება მალე დასასრულებლად.

განგებისგან მიტოვებულ და გამწყრალ საქართველოს, 2003 წლის ნოემბერში გათამაშებულმა ე.წ. „ვარდსურნელოვანმა რევოლუციამ“ სხვებთან ერთად ტანმოკლე და დეფექტურად მოლაპარაკე **ზურაბ ჭიაბერაშვილიც** მოუვლინა. იგი, ნაციონალური მოძრაობის ხარისხიანი ნაწარმია და ზუსტად არის ჩასმულ-ჩაჭედილი სააკაშვილის საფირმო სტანდარტულ ჩარჩო-ყალიბში. ამიტომაც ჯუჯა არსებას მაგრად ჩასჭიდა ხელი და თავისთან მიიჩოჩა „რევოლუციის მესაჭემ“ და იქიდან მოყოლებული ცხრა წლის განმავლობაში ერთად და მოუღალავად ლამობდნენ ქართველების სამშობლოს დაქცევასა და დანელებას, ქართული ჯიშისა და გენის გაქრობას.

უნიჭო „ფილოსოფოსმა“ და ქვემძრომმა, ლიყიანმა ზურაბამ, არაკაცური ლიქნ-ლაქუცითა და საძრახის-საგინებელი ანტიქართული საქმეების კეთებით მოხიბლა ქართველთმოძულე მიშიკა. და, იგიც, შლეგი და ავზნიანი ბელადი, უერთგულეს ყმას ავანსად, ყოველთვის სხვადასხვა ხარისხის თანამდებობებით ასაჩუქრებდა.

„რევოლუციის გამარჯვების“ მდარე მორიგი სანახაობის — ე.წ. „არჩევნების მოსაგებად“ შექმნილ სხვადასხვა გამყალბებელ ჯგუფთან ერთად, სააკაშვილმა სასწრაფოდ შექმნა არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნები“ და მისი თავკაცობა, სიყალბის უხინჯოდ შემსრულებლად ცნობილ ჯუჯა ჭიაბერაშვილს მიანდო და საარჩევნო კომისიის უსტაბაშობა ჩააბარა. გაყალბების მრავალნაირი ხერხითა და მეთოდით ჩატარებულმა „არჩევნებმა გამარჯვება“ სააკაშვილს არგუნა. გათამაშებული ფარსის წარმატებაში კუთვნილი წილი ჩაიდო „სამართლიანობის დამცველმა“ თავმჯდომარემ, უბადლოდ რომ გაართვა თავი სიყალბისა და სიცრუის, სიბინძურისა და ჭუჭყის სიმართლედ გასაღებას.

ეს პირველი წარმატება, ქვემძრომი და ფლიდი მონის შემდგომი სამსახურებრივი დაწინაურების წინაპირობა გახდა. მფარველმა ბუნებით მოღალატე და სულგაყიდული ხელქვეითი თბილისის მერად დანიშნა?!

გამოჩენილი პოეტის, ბატონ რეზო ამაშუკელის მიერ ფრანგული ბულდოგის მეტსახელად შერქმეულმა **(„ილორი“, 2016 წ. №390)** მიშიკას ჯილა ჭიაბერაშვილმა, დედაქალაქის თავკაცად ყოფნის პერიოდში, თითი თითზე არ დააკარა და არაფერი გააკეთა. მხოლოდ უშიშრად და გემრიელად ხრა ქალაქის ბიუჯეტი. თვითონაც გამდიდრდა, გაივსო და მფარველსაც ბლომად მიურბენინა. მერად მოვლენილმა ტანმოკლე და ჭკუასუსტმა ლიყიანმა არსებამ, თბილისის სიმბოლოდ მიჩნეული ქართვლის დედის ქანდაკების დანაშაულებრივი და არაკაცურ შეურაცხმყოფელი „მოსაზრებებ“-გამოხდომებით დაამახსოვრა თავი ქართველებს.

გაზეთი „ილორი“, 2014 წელი, №234: „ქართვლის დედის“ მაგინებელი, სულით და ხორცით ქონდრისკაცი ზურაბ ჭიაბერაშვილი“.

დიახ, მაშინ იყო, რომ არაკაცმა, სიმახინჯე „მერმა“, ქართვლის დედის ქანდაკებისთვის თვალის შემვლებმა რომ ჩაისვარა და გულშეღონებულს მტრისა და მოძალადისთვის ანგარიშმისაგებად გამზადებული მახვილი, მამაკაცის ფალოსი რომ ეგონა... ის იყო და ის, იმ- დღიდან მოყოლებული, ნაციონალმა თანამზრახველებმა იმის მოშიშარ არსებას ფალოსოფოსი უწოდეს. ამით, ჯუჯა ზურაბა კიდევ უფრო ამაღლდა და დაფასდა ნაციონალი „სასტავისა“ და მისი უსტაბაშის თვალში, თავიანთი საერთო „მოსაზრებაშეხედულებების“ ასე ზედმიწევნითა და ზუსტად გახმოვანების გამო. ფალოსოფიურად „მოაზროვნის“ ასეთნაირი, „პირდაპირობა და აზრის თამამად გამოთქმა“, სათანადოდ დაფასდა. სიყალბისა და სიცრუის მქადაგებელი უვიცი და უსაქმური, თანაპარტიელებისგან ამჯერად ჭიად სახელშერქმეული, ნაციონალურ ჭუჭყში ჩაძირული ცრუპენტელა და გაიძვერა მერყოფილი, სააკაშვილმა სტრასბურგში, ევროსაბჭოში საქართველოს ელჩად წარგზავნა ?! ბოროტი, გაქნილი და შავგულიანი არსება ყველაფერს აკეთებდა საქართველოდან გაგზავნილი, სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის ურიცხვ დანაშაულებათა მამხილებელი საჩივრების მისაჩქმალ-გასანადგურებლად, მათი განხილვის თავიდან ასაცილებლად. ასეთი დანაშაულებრივი ქმედებით ჭიამ სახელი გაუტეხა და ავტორიტეტი შეულახა ჩვენს ქვეყანას.

სტრასბურგიდან მიშიკამ, ავისმქმნელი „ალჩი“ შვეიცარიაში გადაასკუპა საქართველოს ელჩად და მთელი წელი ეს მახინჯი არსება უზრუნველად აგულავა მშვიდსა და მოსაწონად დალაგებულ ქვეყანაში.

2011 წლის ოქტომბერში, ბატონ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლისა და მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის თაობაზე გაკეთებულმა განცხადებამ, გონება დააკარგვინა და დავთრები აურია შლეგსა და გაუწონასწორებელ, იმპულსურ სააკაშვილს. მოსვენებადაკარგული, შესაბრალისად და სამარცხვინო დამფრთხალ-დაშინებული და გულგაგახეთქილი გამალებული შეუდგა საშიში მოწინააღმდეგის გზიდან ჩამოცილებელი ყველანაირი ხერხისა და მეთოდის, ცნობილი და გასაიდუმლოებული საშუალებების მცოდნე და შემსრულებელი პიროვნებების შემოკრებას. აგონიადაწყებულმა, მიხეილ მაჭავარიანით, ხათო გოგორიშვილით და სხვა გამყალბებლებით დაკომპლექტებულ „კამანდაში“ მონაწილეობის მისაღებად, შვეიცარიის „ელჩობიდან“ გამოიხმო სიყალბის ქმნის უბადლო „მასტერი“ ლიყიანი ჭიაბერაშვილი. ვიღაცებისთვის თვალების ასახვევად გულისამრევი გათამაშებით თაღლითი არსება სასწრაფოდ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად წამოასკუპა.

ასე მოულოდნელად „გამინისტრდა“ მედიცინის ინჩიბინჩის უცოდინარი ფალოსოფოსი ჭია. თუმცაკი, რაში სჭირდებოდა თუნდაც რაიმე უმნიშვნელო წვრილმანში გარკვევა არაკაცად ნაცკაცუნას? მიშიკას მინისტრებიდან, მასავით ნეტავ რომელიმეს ოდნავ მაინც რაიმე თუ გაეგებოდა ჩაბარებული დარგისა? „ლაფატკებით“ ვერ ხვეტავდნენ უზარმაზარ ხელფასებს, პრემიებსა თუ კიდევ რა სახელდარქმეულსა და ვისგან, რომელი გარეწრისგან შეწერილ-წაგლეჯილ ფულს.

რაკიღა მედიკოსების უსტაბაშის ნიღაბი აიფარა, სინამდვილეში, დამღუპველი საქმის გასაკეთებლად მოხმობილი, ჯანმრთელობის დარგის „ამოსაქაჩად“ ხომ უნდა გარჯილიყო. ჰოდა, ამიტომაც „ოფლმდინარემ“ შემოიარა ქალაქები და სოფლები. ათიოდე ადგილობრივი ნაციონალის წინ შეფივით მოტორტმანე ქადაგებდა და შეკრებილებს ურცხვად ჰპირდებოდა ქათქათა კბილების „უფასოდ ჩასმა-გალამაზებას“, ძვირადღირებული ოპერაციების „კაპიკებში“ გაკეთებას, „ზღაპრულ-ჯადოსნური“ დაზღვევის მეოხებით, ლამის ყვავის ასაკამდე ჯანმრთელად მიღწევას...

გაზეთი „ილორი“, 2012 წელი, №185: „ამომრჩევლებთან შეხვედრაზე ჯანდაცვის მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილი მთვრალი გამოცხადდა. ფხიზელიც ვერ არის სრულ ჭკუაზე. აქ კი ამ პატარა ცახესმა საკუთარ თავს აჯობა. ეგ სწორედ ის ფილოსოფოსია, რომელსაც ქალაქელებმა ფალოსოფოსი შეარქვეს. ასე, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ჯანმრთელობის დაცვას ღრმად დაავადებული ადამიანი განაგებს“.

და, როგორც „განაგებდა“ ქვეყნის ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს ლიყიანი ნაცკაცუნა, ძალზედ მწარედ ვიწვნიეთ მიშიკას სისხლიან-ჯოჯოხეთურ რეჟიმში ჩაცვენილმა დასნეულებულმა ქართველებმა. ჭია „მინისტრმა“ მაშინ ბლომად ფული მოიპარა, თვითონაც ბევრი დაიტოვა და ბელადსაც გვარიანი თანხით შეუვსო მანამდე მოპარული. ასე დააგროვა დიდი ფული ორმა ქურდმა და ყაჩაღმა ცხრა წლის განმავლობაში ბოგინის დროს ვინ იცის თავიანთი მახინჯი და უჯიშო მონაგარის რომელი თაობისთვის უზრუნველი ყოფა-განცხრომისთვის საკმარისი ფული. მაგრამ ვერ მოესწრებიან ამას მათი ცოდვიანი ნაშიერნი. უფლის სურვილითა და ნებით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ციხეში დიდი ხნით გასტუმრებულებისგან უკლებლივ დაუბრუნდება ქვეყნის ხაზინას მოპარულ-მითვისებული ფული.

ასე მოიწყო ურგები ცხოვრება ურჯულო მიშიკას სამარცხვინო ხელისბიჭმა ზურაბა ჭიაბერაშვილმა მისგან ნაწყალობევი თანამდებობებიდან მოპარული ფულით. გულისამრევად გონჯი არსება, ეტყობა, ხშირი თანამეინახე გახლდათ, მფარველისგან შინ და უცხოეთში გამართული წრეგადასული დროსტარება-ღრეობებისა.

ახალი 2013 წლის პირველ დღეს პათოლოგი და ზნედაცემული სააკაშვილი თავის ჯოგის წევრებთან ერთად დუბაიში ჩავიდა მოსალხენად. მათ შორის იყო უერთგულესი მონა-ყმა ჭიაც **(„ილორი“, 2013 წ. №218)**. საქართველოს დამნელებელმა ამორალმა, თანმხლებ ამფსონებთან ერთად, იქ გამაოგნებელი ღრეობა გამართა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რას და როგორ მოიმოქმედებდნენ ფეშენებელურ სასტუმრო-რესტორან-კაფე-ბარ-კაზინო-საროსკიპოებს მოდებული ამორალი ადამიანი და მისი ხელქვეითნი. სხვებზე რა გითხრათ და მართლა მაგარი სანახავი იქნებოდა საროსკიპოში მისული შეზარხოშებული ლიყიანი ზურაბა... მოკლედ, გემოზე იჯირითეს მიშიკამ და ნაცების ნახირმა და როგორც მალევე გახმოვანდა, ის გრილი ქვეყნის გაძვალტყავებულ ბიუჯეტს სულ რაღაც 240 ათასი ლარი დასჯდომია?! კიდევ ერთხელ, ასე აბუჩად აიგდო უჯიშო ბელადმა ადვილად სამართავ სათამაშოდ გამხდარი ძალაგამოცლილი ქართველი ერი.

სამაგიეროდ, ძალამოცემულმა ნაცკაცუნა ჭიამ მოიდგა წელი თანამზრახველ-თანაპარტიელებთან ერთად, ქვეყნისა და ერის დაუნანებლად მძარცველებმა წარმოუდგენელი სიხარბით დაიტაცეს ქართველების სისხლით გაჯერებული მიწა-სავარგულები, ტყის მასივები თუ საძოვრები... მოკლედ, ვისაც რა მოუნდა და რაც მოისურვა. ერთმანეთს გაეჯიბრნენ ვილების, სასახლეების, რანჩო-აგარაკების შენებაში.

იხ. 5 გვ.

◎ იმ ათიათასოგზით გიჟს რა გინდა უყო!

ტერაქტი დემოკრატიის ხიდზე

ისლამისტმა ტერორისტებმა დიდ ბრიტანეთში, ევროპის ტერიტორიაზე უკვე აპრობირებული „ტექნოლოგია“ გამოიყენეს“. ყბადაღებულმა „ბრექსიტმა“ შეერთებულ სამეფოს ვერ უშველა, ვერც უშველიდა და მომავალშიც ვერ უშველის, რადგან ექსპორტირებული მხოლოდ „ტექნოლოგიაა და არა მისი მატარებელნი თუ გამტარებელნი: 2005 წელს ლონდონის მეტროში საზარელი ტერაქტის ჩამდენნი არსაიდან ჩამოსულნი არ ყოფილან: მათი პაპის მამებიც კი სწორედ ბრიტანეთის კუნძულებზე დაიბადნენ.

22 მარტს, გრინვიჩის დროით 14.40 წ. უესტმინსტერის ხიდზე, რომელიც პარლამენტის შენობას უკავშირდება, მონოტონურად და ინგლისური წესრიგით მოძრავი მანქანების ნაკადს ერთი, როგორც ჩვენში უწოდებენ „პარკეტული ჯიპი“ გამოეყო მოულოდნელად და ხიდზე ფეხით მოსიარულეთა ჭყლეტა დაიწყო. ათეულობით ადამიანს რომ გადაუარა, შემდეგ პარლამენტის ერთ-ერთ ჭიშკარში შევარდნა მოინდომა, მაგრამ დამცავმა ფოლადის ჯებირმა შეაჩერა. მაშინ მძღოლი — აღმოსავლური გარეგნობის 40 წლამდე მამაკაცი — მანქანიდან გამოვარდა და შესასვლელთან მდგარ პოლიციელებს დაესხა თავს. როგორც ჩანს, თვით შენობაში შეღწევა სურდა.

ამ ორი პოლიციელიდან ერთ-ერთი (სწორედ ის, ვისაც ტერორისტმა 40 სანტიმეტრიანი დანა მოუღერა) უიარაღო იყო. ზოგადად, ინგლისის ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ „შეიარაღებული პოლიციელი“ რატომღაც ცუდ ტონად ითვლება. ეს, როგორც ჩანს, ინგლისური ტრადიციონალიზმის გამოვლინებაა, მშვიდი ვიქტორიანული ეპოქიდან გამოყოლილი. ამიტომაც, დანით შეიარაღებულმა ნაძირალამ უიარაღო პოლიციელი სულ იოლად მოკლა. საბედნიეროდ, მეორე პოლიციელი შეიარაღებული იყო და სამი გასროლით თავდამსხმელი ალაჰთან გაისტუმრა.

სულ, ტერაქტის შედეგად, 20 ადამიანი დაშავდა. მათგან ხუთი (თვით ტერორისტის ჩათვლით) გარდაიცვალა. ერთმა ქალმა თემზაში გადახტომით უშველა თავს. მეორე (დაღუპულ) ქალბატონს ლონდონის ორსართულიანმა ავტობუსმა გადაუარა იმ ქაოსში და ა.შ.

ამ დროს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტერეზა მეი (ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი) „ოთხშაბათის“ რუტინულ ბრიფინგს ატარებდა პარლამენტში და დეპუტატთა კითხვებს პასუხობდა. ეს ჩვეულებრივი დამთხვევა არ შეიძლება ყოფილიყო: ის, რომ პრემიერი ყოველ ოთხშაბათს დაახლოებთ ამ დროს უესტმინსტერში იმყოფება, ყველა კანონმორჩილმა ბრიტანელმა და, მათთან ერთად, „ყველა ძაღლმა-მამაძაღლმა“ იცის.

პრემიერი მეი ვერტმფრენით გადაფრინეს ქალაქგარეთ საიდუმლო რეზიდენციაში, სადაც ბრიტანეთის უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა ჩატარა. ამ საბჭოს ინგლისში „კომიტეტ კობრას“ უწოდებენ.

ამრიგად, ტერორისტმა ლონდონშიც გაიმეორა ნიცისა და ბერლინის ტერორისტული „ტექნოლოგია“, ოღონდ დახვეწილი სახით: დიდი ტრაილერის თუ ავტობუსის ნაცვლად ჩვეულებრივი ავტომობილი გამოიყენა, რაც კიდევ უფრო ართულებს პრევენციას: აბა როგორ გინდა განსაზღვრო, მანქანების ერთფეროვანი ნაკადიდან რომლის საჭეს უზის ნაძირალა, ვისაც უდანაშაულო ადამიანების მოკვლა და ამ გზით, ზეცაში მის მომლოდინე 77 ქალწულთან გაფრენა აქვს განზრახული?!

ბრიტანეთის სპეცსამსახურები მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლებიან, მათ შორის ანტიტერორისტული მიმართულებით. სწორედ ამ სპეცსამსახურთა ბრწყინვალე პროფესიონალიზმის წყალობით მოხერხდა ისტორიაში უპრეცედენტო ტერაქტის თავიდან აცილება 2006 წელს, როდესაც ისლამისტი ტერორისტები ერთდროულად ათი თვითმფრინავის აფეთქებას გეგმავდნენ ატლანტიკის ოკეანის თავზე. ამ მიზნით თხევადი ბომბები დაამზადეს და ლაინერთა ბორტზე „ჩვეულებრივი წყლის“ სახით მათ ატანას აპირებდნენ. სწორედ ამ ამბის შემდეგ აიკრძალა თვითმფრინავებში თხევადი ნივთიერებების შეტანა.

უესტმინსტერის ხიდზე ტერაქტამდე რამდენიმე დღით ადრე კი, აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა აკრძალეს თვითმფრინავებში აიპადების, ლეპტოპებისა და პლანშეტების შეტანა, ანუ თუ ლონდონში სტამბოლის გავლით მიფრინავთ და ბარგი თბილისში უკვე ჩაბარებული გაქვთ, სტამბოლის „ათათურქის“ ან „საბიჰა გოგჩენის“ აეროპორტში სავსებით შესაძლებელია კომპიუტერი დაგატოვებინონ, ან თუ ეს დევაისი დასაკარგად არ გემეტებათ, მაშინ გაფრენაზე უნდა თქვათ უარი.

ესოდენ მკაცრი გადაწყვეტილების მიზეზი ის გახდა, რომ სპეცსამსახურებმა მიიღეს ოპერატიული ინფორმაცია, თვითმკვლელი ტერორისტები დიდი მოწყობილობების ბატარეებში ნიღბავენ ბომბებს!

არასასიამოვნოა, თუმცა გასაგებია. მაგრამ იმ ათიათასობით გიჟს რა გინდა უყო, რომელიც უშუალოდ ინგლისში ცხოვრობს და მანქანით ჩვეულებრივად გადაადგილდება?

გარდა ამისა, კვლავინდებურად რჩება სისტემური პრობლემა, როდესაც პოლიტკორექტულობასა და ადამიანის უფლებათა ფუნდამენტალისტურ გაგებას ეწირება უსაფრთხოება: სპეცსამსახურებს ათასგვარი ნორმით ხელ-ფეხი აქვთ შეკრული და თავიანთ საქმეს ბოლომდე ვერ აკეთებენ. თუმცა, მოსმენებსა და თვალთვალს სწორედ სპეცსამსახურები ახორციელებენ ყოველგვარი „სამი“, „შვიდი“ და „თვრამეტი „გასაღების“ გარეშე. საამისოდ მხოლოდ სახელმწიფო მდივნის ან სასამართლოს სანქცია სჭირდებათ. მაგრამ, მეორე მხრივ, ბრიტანეთში არც ის ათასობით ფაილის არქივი არსებობს, რომელიც მოქალაქეთა ლოგინებში შეძრომითაა მოპოვებული.

ნიკა იმნაიშვილი

არგენტინის ექსპრეზიდენტს გაასამართლებენ

არგენტინის ყოფილი პრეზიდენტი მართლმსაჯულების წინაშე კორუფციის ბრალდებით წარსდგება. კრისტინა ფერნანდეს-კირშნერის წინააღმდეგ საქმე ცენტრალური ბანკის მიერ დოლარის გაყიდვის რეგულაციებში ჩარევის მუხლით აღიძრა. პროკურატურის მტკიცებით, თაღლითური სქემა პრეზიდენტის თანხმობის გარეშე ვერ იმუშავებდა. ექსპრეზიდენტი ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს.

მკვლელის ვინაობა დასახელდა

რუსული მედია სახელმწიფო დუმის ყოფილი დეპუტატის დენის ვორონენკოვის მკვლელის ვინაობას ასახელებს. გავრცელებული ინფორმაციით, ქილერი უკრაინის მოქალაქე, 28 წლის პაველ პარშევია, რომელიც ძებნაში 2011 წლიდან იმყოფებოდა. მანამდე უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის მრჩეველმა ანტონ გერაშენკომ განაცხადა, რომ ვორონენკოვის მკვლელი რუსული სპეცსამსახურების აგენტია. ყოფილ დეპუტატზე თავდასხმა კიევის ცენტრში გუშინ განხორციელდა. პოლიციამ მკვლელის დაკავება შეძლო, თუმცა მძიმედ დაჭრილი თავდამსხმელი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

რუსეთში იეჰოვას მოწმეების ორგანიზაციას ხურავენ

რუსეთში იეჰოვას მოწმეების რელიგიური ორგანიზაციის მოღვაწეობა შეაჩერეს. ამის შესახებ იუსტიციის სამინისტრო იტყობინება. უწყების განმარტებით, ორგანიზაციის საქმიანობაში ექსტრემიზმის ნიშნები გამოიკვეთა. საბოლოო გადაწყვეტილება ორგანიზაციის დახურვის შესახებ უმაღლესმა სასამართლომ 5 აპრილს უნდა მიიღოს.

ლიბიის სანაპიროებთან იმიგრანტთა ნავები ჩაიძირა

ხმელთაშუა ზღვაში არალეგალი იმიგრანტების ორი ნავი ჩაიძირა. ნავებში სავარაუდოდ 250-მდე ადამიანი იმყოფებოდა. ლიბიის სანაპიროებთან სამაშველო ოპერაცია ამ დრომდე გრძელდება. მაშველებმა რამდენიმე ცხედარი უკვე იპოვეს. იმიგრანტები ევროპის ტერიტორიაზე გადასვლას ცდილობდნენ.

სამხედროებმა 16 წლის პალესტინელი მოკლეს

ისრაელმა იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე მორიგი რეიდი მოაწყო. ჯელაზუნის ლტოლვილთა ბანაკში ებრაელი სამხედროების გამოჩენას ადგილობრივთა მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა. სპეცრაზმელებს მათ ქვები და მოლოტოვის კოქტეილები დაუშინეს. საპასუხო სროლის შედეგად 16 წლის პალესტინელი ახალგაზრდა დაიღუპა.

◎ არამზადების გალერეა

ქურდბაცაცა ჭია, ოორლა ინჭრიგანი!

ჰოდა, ჭიაც, მახვილი, კაცის ფალოსი რომ ჰგონია და შიშით შარვალს რომ ავსებს, რატომღა გადგებოდა განზე? ბევრზე ბევრი მოიპარა კუსპარა არაკაცმა და თბილისის გარეუბან შინდისში ვილა წამოჭიმა. ეს რაცა ჩანს და ვერ დამალავს. დანარჩენ თვალს მიფარებულსა თუ უცხოეთის ბანკებში მიბარებულებზე კი სასამართლოში გამოძახებული გაამხელს საბრალო ქონდრისკაცი.



2013 წლის 21 მაისს ლიყიან ზურაბას ქუთაისში მართლაც მოუწია მისვლა სასამართლოში. იმ დროს კი, შინდისის „ვილაში“ სათანადო სამსახური ატარებდა ჩხრეკას. იქ „საბალელშჩიკოდ“ მივარდნილმა ხათო გოგორიშვილმა „რუსთავი-2“-ის „კალმოსნები“ დაამშვიდა და განუცხადა — ვერაფერი ნახეს, მხოლოდ შვილის კომპიუტერი და მისგან „გადაბულბულებული“ ზურას „სამეცნიერო ნაშრომები“ წაიღესო!... კომპიუტერი ჯანდაბას, მისნაირს რამდენიმეს კიდევაც შეუძენდა პირმშოს ქურდბაცაცა ნაცკაცუნა ჭია, მაგრამ, განა რითი აინაზღაურებდა „მეცნიერული ნააზრევის“ შესაძლებელ დაკარგვას?

ქუთაისის სასამართლოში გამოცხადებული ზურაბა ჭიაბერაშვილი იმავე საღამოს დააკავეს და მეორე დღეს, ვითარცა „ნაელჩარ-ნადიპლომატარი“, საქართველოში აკრედიტებული ელჩების შუამავლობით და თავდებით, ოცი ათასლარიანი გირაოს უმალ გადახდის მერე გაათავისუფლეს. დიდად გასაკვირია და უფრო კი საინტერესო, ისე უთენია, ჭიას ოჯახმა საიდან გაშანსა იმხელა თანხა? თუმცა, ეს ჩვენთვის, რიგით მოკვდავთათვის არის გასაკვირი, თორემ ნაციონალთა „ნაღები“, ამდენს და ბევრად მეტსაც ხომ ყოველდღე დაატარებდა ჯიბით?...

ვიტყვით, რომ სასამართლოსგან გამოტანილი განაჩენი არაფერია, ქართველებისგან გამოტანილთან შედარებით. რა მძიმე განაჩენი შეედრება ნაციონალებისგან გაუსაძლის ყოფაში ჩაცვენილი სვეგამწარებული ადამიანებისგან მიგებულ გაუნელებელ ზიზღსა და სიძულვილს. აი, ეს არის ნაციონალებისთვის გამოტანილი უმკაცრესი განაჩენი, მთელი ცხოვრება თან რომ გაჰყვებათ სატანისთვის სულმიყიდულებს.

... 2014 წლის 27 მაისს, ვაკეში, ლიტერატურულ კაფეში მეგობრებთა**ნ ნოდარ ლადარიასა** და **თორნიკე შარაშენიძესთან** „ზოგადსაკაცობრიო პრობლემის განმხილველ“ ზურაბა ჭიაბერაშვილს, იქ მყოფი ორი პიროვნება წამოადგა თავზე. ერთს, აღელვებულს, ნირშეცვლილ ფალოსოფოსისთვის, სწორად და სამართლიანად უკითხავს ქუჩაში გამოსვლისა და კაფეში მისვლის გაბედვაზე. ჩანს, შელაპარაკება მწვავე ფორმაში გადაიზარდა და განერვიულებულმა ახალგაზრდამ ჭიქა ჩაარტყა თავში ლიყიან ჭიას. შუშის ნამსხვრევებით გაჩხაპნილი კანიდან წვეთებად წამოსულ სისხლს პერანგი დაულაქავებია „ნამერალ-ნაელჩარ-ნამინისტრალ“ ჭიაბერაშვილისთვის. ჩაის სახეში შესხმით, საკადრისი მიუღია ლადარიასაც. მათი მეინახე, მიშიკას მეხოტბე „პროფესორი“ ნაცკაცუნა თორნიკე შარაშენიძე კი თავქუდმოგლეჯილი გაპარულა.

მომხდარიდან მალევე, მისაშველებლად მიცვენილან ხათო გოგორიშვილი და ეკა ხერხეულიძე. თუმცაღა ვეღარ მიუსწრიათ „შუხურისთვის“.

რეზო ამაშუკელი: „ჭიაბერაშვილი — ყარს ოთახი, მაგის ტელევიზორში გამოჩენისთანავე. დააკვირდით, რას ჰგავს!“ („საერთო გაზეთი“, 2012 წ. №15).

და, განა მარტო ბედშავი ლიყიანი ზურაბა. განა, მთელი ნაცკაცუნეთ-ნაცქალეთი არა ყარს?

„თუ დაფიქრებულან მაინც, ვისი გმირობის იმედი აქვთ მიხეილ სააკაშვილს და მის ნაციონალურ ბრბოს, როცა საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავენ?

იქნებ „ქართვლის დედის“ მაგინებელი სულითა და სხეულით ქონდრისკაც ზურაბ ჭიაბერაშვილს?“ („ილორი“, 2014, №284).

გელა ჯილაური,
მარტი, 2017 წელი



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №263

ამირან-ლაზარე სინაურიძის წიგნი „მიმყვანელთ ჩვენდა ცნობად კეთილისა“სრულიად უნიკალურ, ფართო საზოგადოებისთვის უცნობ ან ნაკლებად ცნობილ მასალებზეა დაყრდნობილი და კონკრეტიკასთან ერთად დიდი განზოგადება ახლავს. ეპოქა და ადამიანები ერთ კვლევით არეალშია მოქცეული და ამ გზით უფრო თვალსაჩინო ხდება იმ ინდივიდების ცხოვრება და ბედი, რომლებიც ღირებულებათა უშეღავათო და თავგანწირული ერთგულების გამო თავისდაუნებურად ამოვარდნილნი იყვნენ ეპოქის სოციალური კონტექსტიდან. კრებულის ღირებული და შინაარსთან ადეკვატური წინათქმის (რაც დღევანდელ რიგ გამოცემათა ფონზე იშვიათობა გახლავთ) ავტორი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი დიანა ტყებუჩავა განმარტავს: „მკვლევარმა საოცარი შთამბეჭდაობით აჩვენა ამ უდაოდ ფასეულ გამოკვლევაში არა მარტო წმინდა ადამიანების, დიდებულ სასულიერო მოღვაწეთა — ალექსანდრე ოქროპირიძის და უწმინდესი ეფრემ მეორის ღვაწლი და მოწამეობრივი გზა, არამედ ეპოქის მაჯისცემაც, მათ წინამორბედთა, თანამედროვეთა და მოწაფეთა მრწამსიც. განსაკუთრებით ფასეულად იმას მივიჩნევთ, რომ ა-ლ. სინაურიძე მიზეზ-შედეგობრივად, ანალიტიკური ინტენციით ქმნის ქართული სულიერების უდიდეს მოღვაწეთა პიროვნულ პორტრეტებს, აჩვენებს იმ ძვირი ფასეულობების მნიშვნელობას, რასაც „კავშირი სულთა შორის“ ეწოდება, გადაგვიშლის ამ დიდი ადამიანების ცხოვრებას ნიმუშად და მაგალითად (გაკვეთილადაც) მომავლის საქართველოსთვის.“

გთავაზობთ ფრაგმენტს წიგნიდან, ეპისკოპოს ეფრემ II-ის ცხოვრების და მოღვაწეობის რამდენიმე საგულისხმო სურათს.

„ეფრემ ეუბნა, ვემსახურო საქართველოს ეკლესიას“

„სადაც არ უნდა გადამასახლოთ, რწმენა ყველგან თან გამყვებაა“

საბჭოთა უშიშროებას ეპისკოპოსი ეფრემი არასდროს მიაჩნდა არსებული რეჟიმისადმი ლოიალურად განწყობილ მღვდელმთავრად, მაგრამ ლავრენტი ბერიას ერთი შანსი მაინც მიუცია მისთვის: შეუთავაზებია, დაეტოვებინა ეკლესია და საქმიანობა სამეცნიერო ხაზით წარემართა. ამ წინადადებას მეუფე ეფრემი, რა თქმა უნდა, არ დაეთანხმა. ბერიასთვის უკითხავს: „რამეში ხელს გიშლითო?“ „პირადად მე – არაო“, – უპასუხია ბერიას. „მაშინ მომეცით უფლება, ვემსახურო საქართველოს ეკლესიასო“. ამ დიალოგის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, ამოქმედდა რეპრესიული მანქანა – ეპისკოპოს ეფრემს მიუჩინეს მეთვალყურე, რომელიც ყოველ მის ნაბიჯს აკონტროლებდა, რაც 1937 წლის 10 დეკემბერს მისი დაპატიმრებით დამთავრდა.

მეუფე ეფრემთან დაახლოებული პირის გ. კ-ს ცნობით, მისი დაპატიმრება ერთ-ერთი სასულიერო პირის ცრუ ბრალდების საფუძველზე მოხდა. ეს მღვდელი, რომლის ვინაობაც მან შეგნებულად არ დაასახელა, რუსი ებრაელი ყოფილა. „უწმინდესმა ეფრემმა ჩემზე უკეთ იცოდა, რომ ამ მღვდელმა დაასმინა, მაგრამ არასოდეს აუგი არ დასცდენია მასზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ სასულიერო პირის შეთითხნილ ბრალდებას სიმართლესთან არაფერი ჰქონდა საერთო, უწმინდესი ყოველთვის კეთილგანწყობას იჩენდა ამ პიროვნების მიმართ (რომელიც შესაძლოა, დღეს ცოცხალიც აღარ არის) და არც იმით დაინტერესებულა, კვლავ რატომ ცდილობდა ახლო ურთიერთობის დამყარებას უწმინდეს ეფრემთან მისი კათოლიკოს-პატრიარქობის წლებში. უწმინდესის ასეთი საქციელი ქრისტიანული დიდსულოვნებისა და შემწყნარებლობის იშვიათ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთო“, – განაცხადა მან ჩვენთან საუბრისას.

„პატიოსანი მღვდელმსახურები დიდი განსაცდელის წინაშე იდგნენ – რეჟიმი, რომელიც ყველას და ყველაფერს აკონტროლებდა, სასულიერო პირთა ურჩობას არაფრით ურიგდებოდა და არც ეგუებოდა. მოკლედ, მათ „საბჭოთა ეკლესია“ სჭირდებოდათ, – ამბობს მოწამეთის მამათა მონასტრის მღვდელმსახური არქიმანდრიტი გიორგი (ბასილაძე), რომელმაც კომუნისტური რეჟიმის სიმძიმე საკუთარ თავზე გამოსცადა, – მართლა ძნელი დრო იყო!.. ბევრმა ვერ გაუძლო, ზოგმა – დიდკაცობის ჟინით, ზოგმა – უბრალოდ შიშით, ზოგიც შეგნებულად ჰყიდდა სულს!.. იმ დროს ქუჩაში ანაფორით სიარულიც აღმსარებლობა იყო. ისეთ დღეშიც ვყოფილვარ, აღსარებას არც არავისგან ვიღებდი და



არც არავის ვაბარებდი, რადგან ჩეკისტები ნიადაგ აღსარების გათქმას ითხოვდნენ და არა მარტო ჩეკისტები, არამედ სასულიერო პირებიც, რომლებსაც სული უკვე გაეყიდათ. ადამიანს შიში თან სდევს, მაგრამ შიშს უნდა სძლიო, სიმართლე არ უნდა დათმო. როცა სიმართლეს იცავ, მაშინ თვით ღმერთი გიცავს. როცა მართალი ხარ, სიკვდილისაც არ გეშინია. რაც უფრო უახლოვდები სიკვდილს, მით მეტად გაძლიერებს ღმერთი, მეტად გრძნობ მის სიდიადეს და ყოვლისშემძლეობას“, – ამბობს მრავალჭირნახული ღვთისმსახური, რომელიც უწმინდეს ეფრემს პირადად იცნობდა.

მეუფე ეფრემი 58-11 პრიმა მუხლით – ანტისაბჭოთა პროპაგანდისა და სახელმწიფოს მიმართ ძირგამომთხრელი საქმიანობის ბრალდებით დააკავეს. ამ დროს იგი ნინოწმინდელი ეპისკოპოსი და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის დროებითი მმართველი გახლდათ. მეუფე თბილისში, 5 დეკემბრის ქუჩაზე მდებარე წმინდა დიდმოწამე ბარბარეს სახელობის ტაძარში, აიყვანეს.

„მისგან მსმენია, როცა აპატიმრებდნენ, ხელში კვერთხი ეჭირა და ძირს დაუვარდა... ამბობდა, იმ წუთში გავიფიქრე, ეს კვერთხი იმიტომ წამექცა, რომ აქ ისევ დავბრუნდეო“, – გაიხსენა თბილისის წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიაში სტუმრობისას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ.

დაპატიმრების დროს მისი საცხოვრებელი ოთახის ყოველი კუთხე-კუნჭული გაჩხრიკეს, ამაოდ დაამტვრიეს ყვავილის ქოთნები – იქაც ვერაფერი იპოვეს ისეთი, მისი ბრალდების საქმეს გამოძიების ინტერესების სასარგებლოდ ახალ დეტალს რომ შესძენდა. მეუფე ეფრემს, რომელსაც ყვავილების გახარება უყვარდა, უთქვამს: „მე და ყვავილები ერთ ბედქვეშა ვართ – ისინი ამოთხარეს და გაანადგურეს, მე კი ციხეში მივყავარო“.

თბილისის ღვთისმშობლის შობის სახელობის მეტეხის ტაძარი იმ პერიოდში კომუნისტებს ციხედ ჰქონდათ გადაკეთებული. რამდენიმე თვის განმავლობაში სწორედ მეტეხის ციხეში მიმდინარეობდა მეუფე ეფრემის საქმის გამოძიებისა და ეტაპირების პროცესი. იგი საკანში გრძელი თმით, გაუპარსავი წვერითა და ანაფორით შესულა. „ყველა მიხვდა, რომ საეკლესიო პირი ვიყავი და ჩემკენ მომართეს მზერა. მათი ყურადღება რომ არ მიმეპყრო, ადგილის ძებნა დავიწყე და დასაჯდომი რომ ვერსად ვნახე, იქვე ჩავიმუხლე იატაკზე. მართალია, ყველა საწოლი დაკავებული იყო, მაგრამ რწმენას მაინც ვერ გადააბიჯეს – ერთ-ერთმა მუსულმანმა პატიმარმა ღირსი დამოკიდებულება გამოხატა ჩემ მიმართ. მითხრა: „ვეტყოველას მღვდელი ვეგონე. მოითათბირეს და ბოლოს, როგორც მოძღვარზე, გამონაკლისი დაუშვეს ჩემზე – თუ ხეების მოჭრის სურვილი არ გამიჩნდებოდა, ბანაკში დარჩენა და ტუალეტების გაწმენდა შემეძლო“.

საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან შრომა-გასწორების მკაცრ ბანაკებში გადაგზავნილ პატიმართა უმრავლესობა თითქმის ერთი და იმავე „დანაშაულისთვის“ იხდიდა სასჯელს. მათ ბრალად ედებოდათ ანტისაბჭოთა ქმედება, ჯაშუშობა, სახელმწიფოს მიმართ ძირგამომთხრელი საქმიანობა, საზღვაგარეთის ქვეყნების სადაზვერვო სამსახურებისთვის საიდუმლო ინფორმაციის მიწოდება და სხვა.

შრომა-გასწორების კოლონიაში მეუფე ეფრემს აუტანელ პირობებში უხდებოდა ყოფნა. ბანაკის ბნელ და გაყინულ საკანშიც იმდენი პატიმარი დახვდა, ძლივს მოუძებნიათ მისთვის დასაძინებელი ადგილი. შიმშილი, სიცივე, წამება, სიკვდილიანობა ყოველდღიურობის თანამდევი იყო.

„განსაკუთრებით ზამთარში იმდენი პატიმარი იღუპებოდა, ვერც კი ვმარხავდით, რადგან გვიჭირდა გაყინული მიწის გათხრა. ცალკე ბანაკი გვქონდა მიცვალებულთათვის და ვიდრე გაზაფხული არ დადგებოდა, ერთმანეთზე ვაწყობდით გაყინულ ცხედრებს, რომელთაც ოთახები ეკავათ, გაზაფხულზე კი, როცა მიწა ლღვობას დაიწყებდა, დიდ ორმოებს ვთხრიდით და მიცვალებულებს ერთად ვმარხავდით“.

„რომელ კამერაშიც მეძინა, ზამთარში ისეთი ყინვა იყო, დილით რომ გავიღვიძებდი, ძლივს ვაგლეჯდი ტანსაცმლიდან ყინულს, რადგან კაბაზე მეწებებოდაო, – უთქვამს ნათელა სიდამონიძისთვის, – მთელი დღე კატორღული შრომა იმდენად დამქანცველი იყო, რომ შიმშილისგან ძალაგამოცლილებს ფეხზე დგომა გვიჭირდა. მოჭრილი ხეები ადგილზევე უნდა დაგვემუშავებინა. ზოგჯერ მათ დიდ ტივებადაც ვკრავდით და ისე ვაგზავნიდით დანიშნულების ადგილას. საქართველოდან გამადიდებელი შუშა გამომყოლოდა, რომელიც ჯიბეში შემთხვევით აღმოვაჩინე. მწეველ პატიმრებს როგორც კი ასანთი გაუთავდებოდათ, მაშინვე მომაკითხავდნენ და მეტყოდნენ: „ოღონდ ეს შუშა გვათხოვე და შენს გასაკეთებელ დღევანდელ საქმესაც ჩვენ გავაკეთებთო“. შემდეგ მზეს დაუწყებდნენ ძებნას, რომ სხივი ლინზაში გაეტარებინათ და ასე მოეკიდებინათ ცეცხლი ძველი, დაჭმუჭნილი გაზეთის ფურცელში გახვეული სიგარეტის ნამწვავებისთვის ან, უკეთეს შეთხვევაში, სიგარეტისთვის, რომელსაც რიგრიგობით ეწეოდნენ“.

გადასახლების წლებში მეუფე ეფრემს არავითარი ინფორმაცია არ ჰქონდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ოჯახის წევ-



რებს აკრძალული ჰქონდათ წერილის მიწერა. ერთხანს დედა ანგელინა აწვდიდა გზავნილებს ნაცნობების მეშვეობით, მაგრამ მალე ესეც შეუძლებელი გახდა. მეუფე ეფრემის ძმას ვლადიმერს ყოველ პარტიულ კრებაზე საყვედურობდნენ ძმის გამო, მეუფე ხომ ხალხის მტრად მიაჩნდათ, რადგან ამ ბრალდებით იხდიდა სასჯელს ჩრდილოეთ ურალის მკაცრი რეჟიმის პირობებში. ამიტომ უწმინდესი გადასახლებამდეც და სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც ცდილობდა, თავი შორს დაეჭირა ოჯახისგან, მის გამო რაიმე უსიამოვნება რომ არ შემთხვეოდათ.

„სასწაული იყო მისი ცხოვრება ციმბირში, – გაიხსენა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, – იქ ციხის ზედამხედველი ებრაელი ყოფილა, რომელსაც სრულიად უმიზეზოდ (აბანო ცუდად გაათბეო) მისი კარცერში ჩასმა გადაუწყვეტია. კარცერს გისოსები ჰქონია, მაგრამ შუშა – არა. ზამთარი იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ დილით იქიდან გაყინულ ადამიანს გამოიყვანდნენ. ეს პირდაპირ სიკვდილის მისჯას ნიშნავდა. როცა მომავალი პატრიარქი კარცერში ჩასასმელად მიჰყავდათ, ციხის უფროსი დაინტერესებულა, სად მიდიანო. როდესაც შეიტყო, უწმინდესი თავისთან წაიყვანა. ასე გადაარჩინა სიკვდილს ამ კაცმა ეფრემ მეორე“.

ერთხელ, ქუჩაში სეირნობისას, უწმინდეს ეფრემს მიტროპოლიტ ათანასესთვის (ჩახვაშვილი) უთქვამს: „ციმბირის შრომა-გასწორების კოლონიაში მეთვალყურედ სპეციალურად ებრაელი კაცი დამინიშნეს, რომელიც ქრისტიანებს განსაკუთრებულად ემტერებოდა. მისგან ბევრი ტანჯვა და დამცირება გადავიტანე. პირდაპირ მეტყოდა: „უარყავი ქრისტე, თუ გინდა, თავი გადაირჩინო, თუ არადა, აქედან ცოცხალი ვერ გახვალო“. როცა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მუქარით ვერაფერს გახდებოდა, წამების მრავალ ხერხს მიმართავდა ჩემს წინააღმდეგ. ერთხელ ზამთარში შიშველ სხეულზე ყინულის დიდი ლოდები დამადო და ასე ცოცხლად მკლავდა...“ როგორც მამა დემეტრესთვის (დავითაშვილი) გახდა ცნობილი, „მოგვიანებით ეს კაცთმოძულე ზედამხედველი სხვა ბანაკში გადაუყვანიათ. გარკვეული დროის შემდეგ კი, როცა ეტაპით ახალი ნაკადი შემოჰყავდათ, პატიმართა შორის ისიც ამოუცვნიათ. ყველას გახსენებია მისი სისასტიკე და აღარავის მიუკარებია სიახლოვეს, ხოლო როცა მის დამცირებას შეეცადნენ, ისევ მეუფე ეფრემს გაუწოდებია დახმარების ხელი, შეუკედლებია და თავისი საწოლი დაუთმია. სიკეთის ძალას იმხელა ზემოქმედება მოუხდენია მასზე, რომ ქრისტიანად მონათლულა“.

მეუფე ეფრემმა გადასახლებასა და საპყრობილეებში 7 წელი გაატარა. რაც დრო გადიოდა, იქ გატარებული ყოველი წუთი აუტანელი და გაუსაძლისი ხდებოდა. ჯანმრთელობა დღითი დღე უუარესდებოდა, ამიტომ მტკიცედ გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ყველაფერი ეღონა, რათა ცოცხალს ჩამოეღწია მონატრებულ სამშობლოში. „გადასახლებაში ისე დავსნეულდი, აღარ მეგონა, ოდესმე კიდევ თუ ვნახავდი საქართველოს. ვადამდე 3 წლით ადრე სტალინმა გამათავისუფლა. მას საიდუმლოდ მივწერე წერილი, რომ უსამართლოდ ვისჯებოდი. პატიმართა ბანაკიდან კრემლში ასეთი წერილის გაგზავნა ძნელიც იყო და საშიშიც, რადგან უკეთუ ბანაკის უფროსობას ჩაუვარდებოდა ხელში, დაღუპვა არ ამცდებოდა. მიშველა ღმერთმა და ჩემმა წერილმა სტალინამდე მიაღწია“, – მოუყოლია ოჯახის წევრებისთვის გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ. სტალინისთვის გასაგზავნი წერილის კრემლის ფოსტაში ჩაგდება მას ბანაკიდან განთავისუფლებული რუსი პატიმრისთვის უთხოვია. „ვინაიდან ქაღალდის შოვნა დიდ სიძნელეს წარმოადგენდა, წერილის შავი პირი არყის ხის ქერქზე დავწერე ფანქრით, მერე დიდი წვალებით ქაღალდის ერთი თაბახის ფურცელიც ვიშოვე და უმაღლეს მთავარსარდალს ასეთი შინაარსის წერილი გავუგზავნე: „მოსკოვი, კრემლი, პირადად სტალინს. გთხოვთ, გამოითხოვოთ საქართველოდან ჩემი ბრალდების საქმე, რათა გადაისინჯოს იგი, და თუ მე დამნაშავე აღმოვჩნდები, თქვენგან მოკვეთილი მარჯვენა ხელი არ მეტკინება“. სტალინისთვის ასეთი შინაარსის გარათის გაგზავნა მეტად სარისკო იყო ბანაკიდან განთავისუფლებული პატიმრისთვისაც – თუ წერილს უპოვიდნენ, კვლავ სასჯელი ელოდა, მეუფეს კი დახვრეტა არ ასცდებოდა.

მას შემდეგ, რაც 1944 წლის 21 ივნისს ბრალდების საქმე ხელახალი შესწავლისთვის გამოითხოვეს საქართველოდან, ბანაკმა ეპისკოპოსი ეფრემი სასწრაფოდ გაათავისუფლა დარჩენილი სასჯელისგან.

თავადის გვირგვინი სუნამოს ფლაკონზე

პრინცი მაჩაბელი ამერიკულ ჟურნალში ქალებისათვის

ჟურნალ „American Ladies“ ფურცლებზე 1957 წელს გამოქვეყნდა წერილი, რამაც არა მარტო ქართული ემიგრაციის ინტერესი გამოიწვია. ყოფილი ქართველი იუნკერი, ამერიკის მოქალაქე, „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციის თანამშრომელი მიხეილ დადიანი ამ წერილის მიმოხილვას იმავე 1957 წელს გადასცემს ეთერში. მასალა მიხეილ დადიანის არქივიდან მოგვაწოდა მისმა დისშვილმა ქალბატონმა თათული ღვინიაშვილმა რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ (სტილი დაცულია).

მიკროფონთან მიხეილ დადიანი: „თავადი მაჩაბელი“ ეს არის სათაური ერთ-ერთ ამერიკულ პერიოდულ ჟურნალში მოთავსებული წერილის, რომელშიც აღწერილია თავადი გიორგი მაჩაბლის თავგადასავლების ნაწილი მისი ემიგრანტული ცხოვრებიდან. მან სრულიად უსახსროდ დარჩენილმა, თავისი განათლებით, ჭკუით და ენერგიით, სუნამოების დიდი კომპანია შექმნა შეერთებულ შტატებში და ამ გზით დიდი სიმდიდრე შეიძინა.... მაგრამ მისი პიროვნების დასახასიათებლად მხოლოდ მისივე ენერგიით და ჭკუით შექმნილი ქონება საკმარისი არ არის. ის იყო მეტად აქტიური ქართველი პატრიოტი და მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე საქართველოს კეთილდღეობას ემსახურებოდა. საკმარისია, აღვნიშნოთ ერთი მაგალითი, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს ის იყო გერმანიაში დაარსებული საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრი. კომიტეტის დავალებით გიორგი მაჩაბელმა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ქართველებს გერმანული წყალქვეშა ნავით იარაღი ჩაუტანა.

გიორგი მაჩაბელი და ნორინა ჯილი

ახლა ჩვენი თანამშრომელი **ფარნაოზ მეგობრიშვილი** ორიოდ სიტყვას მოგახსენებთ ამ თავდადებული ქართველის შესახებ:

ფარნაოზ მეგობრიშვილი: იყო და არა იყო რა, ერთმა თავადმა თავისი განოვანისთვის შესანიშნავი სუნამო შეაზავა და ამის შემდეგ ისინი ბედნიერად ცხოვრობდნენ... ჟღერს როგორც ზღაპარი, მაგრამ ეს არის ნამდვილი ამბავი თავადი გიორგი მაჩაბლის ცხოვრებიდან, რომელმაც 20-იან წლებში, აქ, შეერთებულ შტატებში სუნამოების დიდი კომპანია შექმნა. აი, ამ ფაქტს უძღვნის ერთ-ერთი ამერიკული პერიოდული ჟურნალი თავის მოკლე წერილს... და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი მსმენელებისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება ამ პიროვნების უფრო ახლოს გაცნობა.

მაჩაბლიანთ გვარი კარგად არის ცნობილი საქართველოში. სხვებს რომ თავი დავანებოთ, ივანე მაჩაბლის საზოგადო მოღვაწეობა და მის მიერ შექსპირის თარგმანები რად ღირს.

გიორგი მაჩაბელი იყო ამ წარჩინებული გვარის ერთი ოჯახის უფროსი ვაჟი, ძმისწული ზემოთხსენებული ივანესი. ვინაიდან მისი ოჯახი კარგი მამულის პატრონი იყო და მატერიალურად შეძლებული, გიორგიმ განათლება მიიღო გერმანიაში, სამეფო სამთო-მადნო აკადემიაში. ამგვარად, მას მომავალში შეეძლო ახლადშესწავლილი მეთოდების საკუთარ მამულებში გამოყენება.

აკადემიის დამთავრების შემდეგ ის გერმანიაში დარჩა და გეოლოგიის პროფესორის თანაშემწე იყო ამავე აკადემიაში.

სტუდენტობის დროს ერთ-ერთი მისი გასართობი იყო სუნამოების შერევის ცდები. სინამდვილეში სწორედ ამ გასართობმა შესძინა სიმდიდრე, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის წინ ამ გზით გამდიდრების შესაძლებლობა ოცნებას უდრიდა... და ახალგაზრდა თავადი თავის მამულს უვლიდა და ხშირად მოგზაურობდა ევროპის ქვეყნებში.

ერთი ასეთი მოგზაურობის დროს, შვედეთში, გიორგი შეხვდა ულამაზეს იტალიელ ქალს – ნორინა ჯილის, რომელიც სცენაზე გამოდიოდა მარია კარმის სახელით. მალე ისინი დაქორწინდნენ. საერთაშორისო ასპარეზზე მათი მხიარული ცხოვრება ანაზდეულად შეწყვიტა რუსეთის რევოლუციამ. თავადი გიორგი ამ დროს საზღვარგარეთ იმყოფებოდა და მალე იძულებული გახდა, ემიგრანტული ცხოვრების პირობებს შერიგებოდა. მატერიალური გაჭირვების დროს მისი მეუღლე გახდა მხსნელი. ის დაუბრუნდა სცენას. ერთ-ერთი მისი უდიდესი როლი იყო რელიგიურ პიესაში, რომელსაც „სასწაული“ ეწოდებოდა და რომელიც ინგლისში და ევროპის სცენებზე იდგმებოდა. ერთმა ამერიკელმა მოწინავე რეჟისორმა მორის გესტმა გადაწყვიტა „სასწაულის“ დადგმა ნიუ-იორკის სცენაზე და ქალბატონ მაჩაბელს სთხოვა თავის როლს დაბრუნებოდა.

გიორგი მაჩაბელი

1924 წელს „სასწაული“ ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო დადგმად ნიუ-იორკში და მას დიდი მოწონება და წარმატება ხვდა წილად. რასაკვირველია, თავადი გიორგი ახლა თავის მეუღლეს ნიუ-იორკში, მაგრამ ის არ იყო ისეთი ტიპის ადამიანი, რომელსაც შეეძლო გულს ხელდაკრეფილი ჯდომა და ცოლის მიერ ნაშოვნი ფულით ცხოვრება... და აი, მაგისონის გამზირზე, ნიუ-იორკში მან ანტიკვარული მაღაზია გახსნა, რომელმაც მას მალე მოუხვეჭა სახელი, როგორც საქმოსანს, ამავე დროს მან ისევ დაიწყო თავის შექცევა სუნამოების შერევით და სულ ცდილობდა, შეექმნა რამე, მისი მეობის გამომხატველი. ბოლოს და ბოლოს, ეს თავის შექცევა-გასართობი მისი დაინტერესების მთავარი საგანი გახდა. მიანება თავი ანტიკვარულ მაღაზიას და ჩვეული ენერგიით საკუთარი საქმე დააარსა, განჭვრიტა რა, რომ ამ საქმეს დიდი მომავალი ექნებოდა შეერთებულ შტატებში. ის ბეჯითად შეუდგა რეკლამების გაკეთებას თავისი საქმისათვის. თვითონ ხატავდა ბოთლებს და სათავსებს სხვადასხვა სუნამოსათვის, რომლებიდანაც ერთ-ერთი ულამაზესი იყო – თავადის მინიატიურული გვირგვინი. ის ისეთი გემოვნებით არის გაკეთებული, რომ დღესაც, რამდენიმე ათეული წლის შემდეგაც, მუშტრის ყურადღებას იპყრობს. ერთ-ერთ მის პროდუქტს ეწოდება „აბანო“, რომელიც მთელ დასავლეთში არის ცნობილი და რომელიც არის აბაზანის სურნელოვანი ზეთი.

გიორგი მაჩაბლის უდროო გარდაცვალების შემდეგ მისი საქმე გადავიდა ახალი მესაკუთრის ხელში, მაგრამ თავად მაჩაბლის სახელი მაინც შერჩენილი აქვს ახალ კომპანიას და ზოგიერთი სუნამოს სახელდებაც დატოვებულია, როგორც, მაგალითად „აბანო“, „პრინცესა ნორინა“ მისი მეუღლის პატივსაცემად, ასევე „დიუშეს ოფ იორკ“ – მეორე ულამაზესი ქალის, ინგლისური არისტოკრატის ოჯახიშვილის მერი ოფ მოდენას პატივსაცემად, რომელიც ხშირად ცვლიდა მარია კარმას „სასწაულის“ მთავარ როლში.

მაჩაბლის სუნამოები გავრცელებულია და მოწონებით სარგებლობს არა მხოლოდ შეერთებულ შტატებში, მისი წამოწყების ფილიალები არის პარიზში და ლონდონში, მათ ევროპაშიც ავრცელებენ.

აი, მოკლედ, ერთ-ერთი ამერიკული პერიოდული ჟურნალის მიერ თავად მაჩაბლისა და მისი საქმიანობის შესახებ წერილის შინაარსი.

ჩანართზე მუშაობდნენ
ნინო ხოფერია და კახა ქორიძე

მაჩაბლის სუნამოები

აღდგენითი-სარეაბილიტაციო ღონისძიებები შავი ზღვის ელ. გადაცემის პროექტის ფარგლებში

ბოლო ვადა: 16.05.2017 წ.

ქვეყანა: საქართველო
საიდენტიფიკაციო ნომერი: 2020 59 905
ტენდერი და პოსტ-საკვალიფიკაციო შერჩევა
საფუძველი: საერთაშორისო, ღია ტენდერი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში მდებარე ზეკარის მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის 20 ანძის პლატფორმებთან მისასვლელი გზების და ტერიტორიების აღდგენა-რეაბილიტაციის ღონისძიებების განსახორციელებლად
დამკვეთი: შპს „ენერგოტრანსი", თბილისი/საქართველო
მოსარგებლე სექტორი: ენერგო სექტორი
დაფინანსება მომსახურების განსახორციელებლად: სახსრების ნაწილის გამოყოფა მოხდა გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის (KfW)/ეროვნული საინვესტიციო ფონდის (NIF) მიერ. ბანკის სახსრების გამოყენება არ უნდა მოხდეს იმ პირების, ან უწყებების მიმართ რაიმე სახის გადახდის განხორციელების, ან საქონლის იმპორტის მიზნებისათვის, თუ აღნიშნული გადახდა, ან იმპორტის განხორციელება აკრძალულია გაერის უსაფრთხოების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, გაეროს წესდების VII თავის მოთხოვნების შესაბამისად, ან ევრო-საბჭოს, ან გერმანიის მთავრობის მიერ.
პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები:
მოცემული პროექტი ითვალისწინებს ბორჯომ-ხარაგაულის პარკში მდებარე „ზეკარის" ელ. გადამცემი ხაზის 20 ანძის პლატფორმებთან მისასვლელი გზების და მიმდებარე ტერიტორიების რეაბილიტაციის მიზნით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.
მომსახურების აღწერა:
პროექტი და სამუშაოები „სამცხე-ჯავახეთის რეგიონის (ახალციხის მუნიციპალიტეტი) და იმერეთის რეგიონის (ბაღდათის მუნიციპალიტეტი) ტერიტორიაზე მდებარე ბორჯომ-ხარაგაულის პარკის ეროვნული პარკის საზღვრებში განთავსებული ზეკარის მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის ანძების პლატფორმებთან მისასვლელი გზების და მიმდებარე ტერიტორიების აღდგენა-რეაბილიტაციის ღონისძიებების განხორციელების მიზნით".

პროექტის ხანგრძლივობა: მოცემული პროექტის ხანგრძლივობა შეადგენს 5 თვეს.

საკონტრაქტო პირობები: საკონტრაქტო პირობებს წარმოადგენს ინჟინერ-კონსულტანტების საერთაშორისო ფედერაციის (FIDIC) „დანადგარების და პროექტირება-მშენებლობის საკონტრაქტო პირობები, 1999 წ. პირველი გამოცემა", ყვითელი წიგნი.

სატენდერო დოკუმენტის მიღება: ტენდერის მონაწილეებს შეუძლიათ სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შპს „ენერგოტრანსში", ქვემოთ მითითებულ მისამართზე, წერილობით/პირადად წარმოდგენილ განცხადებასთან ერთად. აღნიშნულ განცხადებას თან უნდა ახლდეს სათანადოდ დამოწმებული თანდართული წერილი, რომელშიც გარკვევით იქნება წარმოდგენილი კომპანიის დასახელება, დომიცილის ქვეყანა და შპს „ენერგოტრანსის" ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე არანაზღაურებადი 150 ევროს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი:

ევროს ტრანსფერის შემთხვევაში (საზღვარგარეთის ქვეყნებიდან):
სს „თი-ბი-სი ბანკის" სათაო ოფისი, თბილისი, საქართველო
სვიფტ კოდი: TBCBGE22
ანგარიში: UR- GE81 TB77 3143 6130 1000 01
ფინანსური მედიატორი 1:
სს „დოიჩე ბანკი" (Deutsche Bank AG), ფრანკფურტი, გერმანია
სვიფტ კოდი: EUTDEFF
ბანკის კოდი: 50070010
ფინანსური მედიატორი 2:
სს „კომერცბანკი" (Commerzbank AG), ფრანკფურტი, გერმანია
სვიფტ კოდი: COBADEFF
ბანკის კოდი: 5040000

ლარის ტრანსფერის შემთხვევაში (საქართველოს ფარგლებში):
სს „თი-ბი-სი ბანკი" სათაო ოფისი, თბილისი, საქართველო
სვიფტ კოდი: TBCBGE22
მოსარგებლის დასახელება: შპს „ენერგოტრანსი"
ანგარიში: GEL GE37TB7731436030100001

მოთხოვნის შემთხვევაში დოკუმენტების გაგზავნა მოხდება დაუყონებლივ, კურიერის მეშვეობით, თუმცა კომპანია არ იღებს პასუხისმგებლობას დოკუმენტაციის დაკარგვის, ან დაყოვნების შემთხვევაში.

ტენდერის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება, ასევე სატენდერო დოკუმენტაციის შემოწმება და შეძენა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე:

შპს „ენერგოტრანსი"
ბარათაშვილის ქ. №2, 0105, თბილისი, საქართველო
ადრესატი: კახა სეხნიაშვილი, ტელ:+995 32 2 510391
ელ. ფოსტა: m.gikoshvili@energotrans.com.ge

სატენდერო გარანტია: ტენდერს თან უნდა ახლდეს დამკვეთისთვის მისაღები ბანკის მიერ გაცემული სატენდერო გარანტია **15,500.00 (თხუთმეტი ათას ხუთასი) ევროს** მოცულობით.

ტენდერის წარმოდგენის ბოლო ვადა: ტენდერის წარმოდგენა მოცემულ მისამართზე უნდა მოხდეს არა უგვიანეს 2017 წ. 16 მაისის 15.00 საათისა, ადგილობრივი დროით. აღნიშნულ დღეს და დროს მოხდება ტენდერების გახსნა ტენდერის მონაწილეების იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ დასწრებას.

შესყიდვების პროცესი: შესყიდვების პროცესი და ტენდერები შესაბამისობაში უნდა იყოს შესყიდვების სახელმძღვანელო პრინციპებთან და ბანკის მიერ განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებთან, შესყიდვებთან მიმართებაში. ასევე აუცილებელია, რომ შეფასების პროცედურა და შემდგომი შერჩევის პროცესი შესაბამისობაში იყოს გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის (KfW) „სახელმძღვანელო პრინციპებთან, განვითარებად ქვეყნებთან ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში განსაზღვრულ მოწოდების და სამუშაოების კონტრაქტების შესყიდვასთან მიმართებაში" (ხელმისაწვდომია KfW-ს ვებგვერდზე: http://www.kfwentwicklungsbank.de).

ქვემო ფონიჭალაში საგზაო ინფრასტრუქტურა წესრიგდება

კრწანისის გამგეობა ქვემო ფონიჭალაში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას განაგრძობს.

აფხაზეთის II ჩიხში, 1100 კვ.მ-ზე, ასფალტის ორფენიანი საფარი მოეწყო. მიმდინარეობს გზის კაპიტალური მშენებლობა აფხაზეთის I ჩიხში, სადაც სამუშაოები 1100 კვ.მ-ზე შესრულდება. ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს კრწანისის გამგებელი გიორგი კოპალეიშვილი თბილისის საკრებულოში რაიონის მაჟორიტარ დეპუტატთან ქეთი მამულაშვილთან ერთად გაეცნო. ქვემო ფონიჭალაში მიმდინარე წელს გზის კეთილმოწყობა კიდევ ოთხ მისამართზე დასრულდა. ასფალტის საფარი დაიგო გულბანის I და II ჩიხებში, რაფავასა და ხვიტიას ქუჩებზე. საგზაო სამუშაოებს გამგეობის კონტრაქტორი კომპანია შპს „გუმი" აწარმოებს.

განახლებული ამაღლების ქუჩა

მთაწმინდის რაიონში, ამაღლების ქუჩაზე, გზის რეაბილიტაცია ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს. თბილისის მერი დავით ნარმანია სამუშაოებს ადგილზე გაეცნო და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსისგან გივი კუბლაშვილისგან პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოისმინა.

„მას შემდეგ, რაც ამაღლების ქუჩაზე გამოიცვალა მიწისქვეშა კომუნიკაციები, მიმდინარეობს გზის საფარის აღდგენა — კეთდება ტროტუარები, ქუჩა მოეწყობა მთლიანად, თავიდან ბოლომდე. უახლოესი 10 დღის განმავლობაში ინტენსიური სამუშაოების შედეგად დასრულდება პროექტი და ქუჩა ჩაბარდება ქალაქს," — განაცხადა დავით ნარმანიამ.

კაპიტალური რეაბილიტაციის ფარგლებში, 9 000 მ²-ზე მიმდინარეობს ასფალტის ძველი საფარის დემონტაჟი, სანიაღვრე ქსელს ემატება ორი ახალი ცხაური, რის შემდეგაც დაიგება ახალი საფარი, ბაზალტის ბორდიურებით კი ტროტუარები მოეწყობა.

Restoration-Rehabilitation Measures for Black Sea Transmission Project

Deadline: 16.05.2017

Country: Georgia
Ref.-N°: 2020 59 905
Tender with Post-Qualification
Ref.: International, open Tender for Restoration-Rehabilitation measures for territories and access roads adjacent to 20 tower platforms of ZEKARI High-voltage Transmission Line located in Borjomi-Kharagauli National Park.
The Client: Energotrans LTD, Tbilisi / Georgia
Sector to be supported: Energy Sector
Finance for Services: Part of the proceeds of funds from the KfW/NIF. The proceeds of the Bank's funds will not be used for the purpose of any payment to persons or entities, or for any import of goods, if such payment or import is prohibited by a decision of the United Nations Security Council taken under Chapter VII of the Charter of the United Nations, the EU or the German Government.
Project Measures:
This project is about the measures intended for rehabilitation of 20 tower platforms of the transmission line "Zekari", their surrounding areas and access roads to the towers located in Borjomi - Kharagauli National Park.
Requested Services:
Design and Works for "Restoration-Rehabilitation measures for territories and access roads adjacent to tower platforms of ZEKARI High-voltage Transmission Line located within Borjomi-Kharagauli National Park, on the territory of Samtskhe-Javakheti Region (Akhaltsikhe Municipality) and Imereti Region (Bagdati Municipality).

Project Duration: The duration of this project shall be 5 months.

Contract Conditions: The contract conditions will be FIDIC "Conditions of Contract for Plant and Design-Build, First Edition 1999" Yellow Book.

Obtaining of Tender Document: Tenderers may collect the tender documents from Energotrans Ltd., at the address below, with application in writing/ in person to the address given below. This request must be accompanied by a duly authorized cover letter, clearly stating the name of the company, the country of domicile and evidence of the effected bank transfer of the non-refundable fee of EUR 150 to the Energotrans account:

For EUR transfer (from outside Georgia):
JSC "TBC Bank" Head Office, Tbilisi, Georgia
Swift: TBCBGE22
Account: EUR- GE81 TB77 3143 6130 1000 01
Intermediary 1:
Deutsche Bank AG, Frankfurt/Main, Germany Swift: DEUTDEFF
BLZ: 50070010
Intermediary 2:
Commerzbank AG, Frankfurt/Main, Germany,
Swift: COBADEFF
BLZ: 5040000

For GEL transfer (from within Georgia):
JSC "TBC Bank" Head Office, Tbilisi, Georgia
Swift: TBCBGE22
Name of Beneficiary: "Energotrans" Ltd
Account: GEL GE37TB7731436030100001

Upon request the documents will be promptly dispatched by courier, but no liability can be accepted for loss or late delivery.

Tenderers may obtain further information from as well as and inspect and acquire the tender documents at the following office address:

Energotrans Ltd
2, Baratashvili ST.0105, Tbilisi, Georgia Attn.: Kakha Sekhniashvili Tel.:+995 32 2 510391
E-Mail:m.gikoshvili@energotrans.com.me

Tender Security: The tender must be accompanied by a Tender Security from a reputable bank acceptable to the Employer in the amount of **15,500.00 (Fifteen Thousand five hundred) EURO.**

Deadline for Tender Submission: Tenders must be delivered to the office at the address given in the Tender Data at or before 15.00 p.m. local time, on 16.05.2017, at which time they will be opened in the presence of those Tenderers' representatives who choose to attend.

Procurement Process: The procurement process and the tenders need to be acceptable under the procurement guidelines and other relevant procurement requirements of the Bank. Additionally, the evaluation procedure and the subsequent selection process will have to be acceptable under KfW's „Guidelines for the Procurement of Supply and Work Contracts under Financial Cooperation with Developing Countries" (available on KfW's website http://www.kfwentwicklungsbank.de).

დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის მიერ 2016 წ. განხორციელებული საქმიანობის პროგრამული ანგარიში

დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაცია (არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი, საქველმოქმედო ორგანიზაციის დამადასტურებელი მოწმობა №4, 15.04.2005).

დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის საქმიანობა 2016 წ. მოიცავდა 2 მიმართულებას: 1. დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობის და რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულებას (ვაუჩერული დაფინანსება ს.ს.ი.პ. სოციალური მომსახურების სააგენტოდან); 2. ასოციაციის წევრებისა და დიაბეტით დაავადებული მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევა და სამეურნეო საორგანიზაციო ხარჯი (დაფინანსება კერძო შემოწირულობებიდან, დეპოზიტის პროცენტებიდან და ასოციაციის წევრთა საწევროებიდან).

დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობისა და რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის (ბავშვთა და მოზარდთა დიაბეტის მართვის სახელმწიფო ვაუჩერული პროგრამის ფარგლებში) შესრულება.

დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა სახელმწიფო პროგრამა განკუთვნილია საქართველოში მცხოვრებ 0-18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და მოზარდებისათვის. 2016 წ. პროგრამა მოიცავდა შემდეგი ღონისძიებების ჩატარებას:

1. ბენეფიციარებისათვის საანალიზო-ტექნიკური საშუალებების შეძენა, შენახვა და გაცემა გლუკოზის თვითკონტროლისათვის;
2. პაციენტების ლაბორატორიული გამოკვლევები (HbA1c გლიკოჰემოგლობინის განსაზღვრა);
3. თვალის გართულებათა მონიტორინგი;
4. დიაბეტური განათლების მიღება;
5. დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა რეაბილიტაციის პროგრამა.

2016 წლის ბავშვთა და მოზარდთა პროგრამა განკუთვნილი იყო საქართველოში მცხოვრებ 0-18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და მოზარდებისათვის და 18 წელს გადაცილებული იმ დიაბეტიანი პაციენტებისათვის, რომლებსაც აღენიშნებათ მხედველობის დაქვეითება (ან არიან უსინათლოები), აქვთ თანდაყოლილი ცერებრალური დამბლა ან/და უშაქრო დიაბეტი. პროგრამის ძალაში შესვლის მომენტისათვის (01.01.2016) ასოციაციაში რეგისტრირებული ზემოთაღნიშნული ასაკის ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა იყო 773. 2016 წ. გამოვლინდა 18 წლამდე ასაკის 136 ახალი პაციენტი, რაც წინა წლების გაზრდილ სტატისტიკასთან თანხვედრაშია, მაგრამ ჯერჯერობით რაციონალურ ახსნას არ ექვემდებარება.

პროგრამის დაფინანსება ხორციელდებოდა ს.ს.ი.პ. სოციალური მომსახურების სააგენტოს, როგორც ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების კოორდინატორის მიერ. ამ პროგრამის ფარგლებში ასოციაცია ვაუჩერული დაფინანსებით გათვალისწინებულ მომსახურებაზე დამატებით, როგორც ჰუმანიტარული ორგანიზაცია, საქველმოქმედოდ აწარმოებდა სახელმწიფოს მიერ გადმოცემული მედიკამენტების (ინსულინები, ინსულინების ანალოგები, შპრიც-კალმისტრები, კალმისტრის ნემსები) შენახვას სათანადო ტემპერატურულ რეჟიმში, აღრიცხვას და დარიგებას, რაც საკმაოდ დიდ ადამიანურ და მატერიალურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული.

მედიკამენტების გაცემა ხდებოდა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესით: ახლადგამოვლენილი პაციენტების აღრიცხვაზე აყვანა და მათზე მედიკამენტების გაცემა ხორციელდებოდა ასოციაციის ცენტრალური ოფისიდან უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებისა და ექიმ პედიატრ ენდოკრინოლოგის მიერ გამოწერილი ფორმა 100-ის საფუძველზე. სახელმწიფოს მიერ გადმოცემული მედიკამენტების პაციენტებზე გაცემა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ კონტროლდებოდა ონლაინ რეჟიმში სპეციალური პროგრამის საშუალებით.

პროგრამის მიონაწილე ყველა პაციენტი უზრუნველყოფილია გლუკომეტრითა და პროგრამით განსაზღვრული რაოდენობის საანალიზო ჩხირებით (სისხლის და შარდის), რაც მათ აძლევთ საშუალებას დამოუკიდებლად აკონტროლონ სისხლში გლუკოზის დონე. ამას გარდა, მათ კვარტალში ერთხელ სავალდებულო წესით პროგრამის ფარგლებში უფასოდ უკეთდებათ HbA1c გლიკოჰემოგლობინის ანალიზი, რაც უაღრესად დიდ ინფორმაციას იძლევა პაციენტებში ავადმყოფობის მიმდინარეობის შესახებ. გლიკოზირებული ჰემოგლობინის ანალიზი კეთდება ასოციაციის ლაბორატორიაში, ცენტრალურ ოფისში. 2016 წლის განმავლობაში სულ გაკეთდა 2570 ანალიზი.

ასოციაციის ცენტრალურ ოფისში პაციენტებს ექვს თვეში ერთხელ აუცილებელი წესით უტარდებათ თვალის შემდეგი გამოკვლევები: ოფთალმოსკოპია, რეფრაქტომეტრია, ბიომიკროსკოპია და ფუნდუსკოპია. 2016 წლის განმავლობაში თვალის სკრინინგი ჩაუტარდა 1349 პაციენტს.

ასოციაციას აქვს დიაბეტის საგანმანათლებლო სკოლები პაციენტებისა და მათი მშობლებისათვის, სადაც მუდმივად ტარდება მეცადინეობები, როგორც ახლადგამოვლენილი პაციენტებისათვის, აგრეთვე მათთვისაც, ვისაც ექიმთა დაკვირვებით ხელახლა სჭირდება სკოლის გავლა. დიაბეტური განათლების მიღება საგრძნობ გავლენას ახდენს პაციენტების ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე, ვინაიდან იზრდება თვითკონტროლის ხარისხი.

2016 წ. განმავლობაში, რეაბილიტაციის პროგრამით ასოციაციის სარეაბილიტაციო სპორტულ ცენტრში ტარდებოდა ვარჯიშები 2 ჯგუფში. სულ 2016 წლის განმავლობაში სარეაბილიტაციო ცენტრში დაკავებული იყო 19 პაციენტი (12 გოგონა და 7 ვაჟი).

თითოეული პაციენტისათვის შემუშავდა განსაზღვრული ინტენსივობის ფიზიკური დატვირთვების ინდივიდუალური გრაფიკი. ვარჯიშის ძირითად ნაწილში ფიზიკური დატვირთვები მიმდინარეობდა ორგანიზმისათვის სასიცოცხლო ფუნქციების (პულსი, სუნთქვა) მონიტორინგით შემდეგ ტრენაჟორებზე:

- ციკლური (სარბენი ბილიკი, ველო, ველოთხილამური, სტეპერი)
- ძალისმიერი (მუცლის პრესის, ხერხემლის სამასაჟო სკამი, კომბინირებული)
- სამაგიდო სპორტული თამაშები (მაგიდის ჩოგბურთი, მაგიდის ფეხბურთი)
- ვიბრომასაჟორები

უშუალოდ ვარჯიშამდე და მის მერე ხდებოდა თითოეული პაციენტისათვის სისხლში გლუკოზის დონის სავალდებულო განსაზღვრა.

ასოციაცია ანგარიშებს ყოველთვიური პროგრამული დანახარჯების შესახებ წარადგენს ს.ს.ი.პ. სოციალური მომსახურების სააგენტოში მათ მიერ დადგენილი ფორმით.

2. ჩვენი ასოციაციის ჰუმანიტარული პროფილიდან გამომდინარე, ჩვენ ვცდილობთ შეძლებისდაგვარად გავუწიოთ ჰუმანიტარული დახმარება დიაბეტით დაავადებულ საქართველოს მოსახლეობას, რისთვისაც ასოციაციას გააჩნია ჰუმანიტარული ინსულინებისა და თანმხლები საანალიზო ტექნიკური საშუალებების გარკვეული მარაგი. ჰუმანიტარული დახმარების გაცემა ასოციაციაში რეგისტრირებულია სათანადო წესით. ასოციაციას აქვს მცირე შემოსავალი დეპოზიტზე განთავსებული თანხებიდან და დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის წევრები იხდიან ყოველწლიურ საწევროს. საწევროების, კერძო შემოწირულობების და დეპოზიტის პროცენტების თანხა ხმარდება ასოციაციის მმართველობით ხარჯებსა და ასოციაციის მძიმე სოციალური მდგომარეობის წევრების (დაბადებიდან უნარშეზღუდული პირები) მცირე მატერიალურ დახმარებებს.

სრული საფინანსო ინფორმაციისათვის იხილეთ ბალანსი და საქმიანობის შედეგების ანგარიშგების ფორმები, რომლებიც წინამდებარე ანგარიშს თან ახლავს.

ДИАБЕТИАН БАВШВТА ДАЦВИС АСОЦИАЦИА

ბ ა ლ ა ნ ს ი

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		2015	2016	
	აქტივები			
	გრძელვადიანი აქტივები			
	ძირითადი საშუალებები	2203968,35	2136257,84	
	ინვესტიციები			
	სხვა გრძელვადიანი აქტივები			
	მიმდინარე აქტივები			
	მატერიალური მარაგი	203565,41	191955,34	
	დებიტორები	72812,08	80599,97	
	ავანსები	1953,64	335,88	
	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი	653745,58	802416,30	
	სულ აქტივები	3136045,06	3211565,32	
	ფონდები და ვალდებულებები			
	ფონდები			
	შეუზღუდავი ფონდი	2391450,21	2548269,17	
	დროებით შეზღუდული ფონდი	655711,97	609745,44	
	მუდმივად შეზღუდული ფონდი	75676,92	47000,38	
	გრძელვადიანი ვალდებულებები			
	გრძელვადიანი სესხები			
	საპენსიო ანარიცხები			
	მოკლევადიანი ვალდებულებები			
7	კრედიტორები	13205,96	6550,33	
	მოკლევადიანი სესხები			
	გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი			
	სულ ფონდები და ვალდებულებები	3136045,06	3211565,32	

ДИАБЕТИАН БАВШВТА ДАЦВИС АСОЦИАЦИА

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 2016 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის

I.შეუზღუდავი ფონდების ნაწილში

№№	**შემოსავლები**	2016	2015
1	შეზღუდვისაგან განთავისუფლებული ფონდი(ძირ.საშ)	30451,16	13607,81
2	შეზღუდვისაგან განთავისუფლებული ფონდი(მცირეფას,მარაგები)		
3	შემოწირულობები	0,00	
4	სხვა შემოსავლები შესრულებული სამუშაო)	920941,45	751768,62
5	კურსთა სხვაობა, საპროცენტო შემოსავლები	65158,82	22633,82
6	შემოწირულობები არაფულადი სახით		
	სხვა შემოსავლები	1520,31	
	სულ შემოსავლები	**1018071,74**	**788010,25**
	ხარჯები		
1	I პროექტის ხარჯი		
2	II პროექტის ხარჯი		
3	III პროექტის ხარჯი	861252,78	694521,66
4	პროექტების მხარდაჭერის ხარჯი		
5	ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი (კ/სხვ.)		
	სულ ხარჯები	**861252,7757**	**694521,66**
	მთლიანი შედეგი (შემოსავლების ნამეტი/ დეფიციტი)	**156818,96**	**93488,59**
	განსაკუთრებული მუხლები		
	წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება)	***156818,9643***	***93488,59***
	II.დროებითი შეზღუდული ფონდების ნაწილში		
	შემოსავლები		
1	შემოსავალი ინვესტიციიდან		
2	შეზღუდვისაგან განთავისუფლებული ფონდი	98000,00	95150
3	საწევრო შენატანები	1800,00	2388
4	საპროცენტო შემოსავლები	13731,63	25820,02
	სულ შემოსავალი	**113531,63**	**123358,02**
	ხარჯები		
1	I პროექტის ხარჯი		
2	II პროექტის ხარჯი	159498,16	80197,51
3	III პროექტის ხარჯი		
	სულ ხარჯები	**159498,156**	**80197,51**
	წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება)	***-45966,526***	***43160,51***
	III. მუდმივი შეზღუდული ფონდების ნაწილში		
	შემოსავლები		
1	სხვა შემოსავალი		
2	შემოსავალი არაფულადი სახით	442611,85	378072,2
	სულ შემოსავალი	**442611,85**	**378072,2**
	ხარჯები		
1	I პროექტის ხარჯი	471288,40	354594,71
	სულ ხარჯები	**471288,3955**	**354594,71**
	წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება)	***-28676,54698***	***23477,49***

◎ საშემოდგომო

წინ ცხელი ნოემბერია

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები 2017 წლის ნოემბერში ტონგასა და ფიჯის ნაკრებებს უმასპინძლებს.

ცნობილია აგრეთვე, რომ გიორგობისთვეში საქართველოს ნაკრები უელსს კარდიფში ეწვევა - „დრაკონებს“ „მილენიუმზე“ 18-ში შეხვდება.

ერთი კვირით ადრე საქართველოში ტონგას ნაკრები ჩამოვა, ხოლო 25 ნოემბერს ფიჯი გვესტუმრება.

კობა კობახიძე

◎ ლეგიონერი

სანაძემ 19 ქულით დაიწყო

საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების წევრმა დუდი სანაძემ სლოვენიის ჩემპიონატის ფლეი-აუტის პირველ შეხვედრაში 19 ქულა მიითვალა. ქართველის „პრიმორსკამ“ სტუმრად „კასტინგსი“ 91:72 დაამარცხა. დუდას გუნდი ფლეი-ოფში ვერ მოხვდა და ჩემპიონატში დასარჩენად იბრძვის.

სანაძემ მოედანზე 22 წუთი გაატარა და ამ ხნის განმავლობაში 6-დან 4 ორქულიანი, 6-დან 3 სამქულიანი და ორი საჯარიმო ჩააგდო. დუდას აქტივშია ასევე 3-3 მოხსნა და შედეგიანი გადაცემა. ქართველი ჩემპიონატის ბომბარდირთა დავას ლიდერობს – იგი საშუალოდ მატჩში 17.32 ქულას აგროვებს და „ზლატოროგის“ კალათბურთელს იგორ ტრატნიკს 0.54 ქულით უსწრებს.

„პრიმორსკა“ მომდევნო შეხვედრას 26 მარტს შინ „პოდჩეტრტეკთან“ გამართავს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

გრიზმანი მიდის

საფრანგეთის ეროვნული ნაკრებისა და მადრიდის „ატლეტიკოს“ შემტევი ანტუან გრიზმანი ზაფხულიდან კარიერას, დიდი ალბათობით, „მანჩესტერ იუნაიტედში“ გააგრძელებს. Manchester Evening News-ი **ფეხბურთელის გარემოცვაზე დაყრდნობით იტყობინება, რომ ტრანსფერი ფაქტობრივად გადაწყვეტილია და ესპანური კლუბი გრიზმანის სანაცვლოდ 100 მილიონ ევროს მიიღებს.**

გიორგი ზოთაძე



◎ სახელები

ელვა და მეხი...

65 წლის წინათ ჰელსინკიში XV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა თბილისელი რაფაელ ჩიმიშკიანი, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატებზე 1954 და 1955 წლებში ოქროს მედლები მოიპოვა, ხოლო ორჯერ (1950 და 1953 წ.წ.) ვერცხლის მედლები დაიმსახურა. ევროპის ხუთგზის (1950, 1954-57 წ.წ.) ჩემპიონმა საბჭოთა კავშირის პირველობებზე ორჯერ მეტი ოქროს ჯილდო მიიღო, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს ხომ თვლა არა აქვს. 11-ჯერ მსოფლიო, 13-ჯერ კი საკავშირო რეკორდები გააუმჯობესა. სპორტის დამსახურებული ოსტატი, თბილისის საპატიო მოქალაქე, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერი, სპორტის რაინდი რაფაელ ჩიმიშკიანი 1973 წლიდან საერთაშორისო კატეგორიის არბიტრია.

ვერაზე გაზრდილი

„რუსთაველის ქეგლთან, გაბაშვილის 5 ნომერში ვცხოვრობდი, – იგონებს ოლიმპიური ჩემპიონი. – ეზოში ერთი ახოვანი ჭაბუკი გვყავდა – კინომსახიობი ვანო ტურიაშვილი. მე-2 სართულის აივანზე იგი ყოველ დილით თვითნაკეთი შტანგით ვარჯიშობდა, შემდეგ ეზოში ჩამოდიოდა და ზამთარ-ზაფხულ ონკანთან ცივი წყლით იკაჟებდა დაკუნთულ სხეულს. ბავშვები ვცდილობდით, მისთვის მიგვებაძა, თუმცა, გვაფრთხილებდა, სანამ არ გაიზრდებით, მძიმეს ნუ ასწევთ, ორგანიზმისთვის მავნებელიაო. არადა, ძალიან მინდოდა, ძია ვანოსავით ძლიერი ვყოფილიყავი. ამ სურვილმა მერვე კლასის მოსწავლე ბესიკის ქუჩაზე „დინამოს“ დარბაზში მიმიყვანა, სადაც პავლე გუმაშიანმა თავის ჯგუფში ჩამწერა და სამთვიანი ვარჯიშის შემდეგ საკავშირო პირველობაზე წამიყვანა გორკში. ყველაზე უმცროსი (მაშინ ასაკს ყურადღება არ ექცეოდა) და ტანითაც პატარა ვიყავი. ჩემს წონაში სამ ათეულზე მეტი ძალოსანი გამოდიოდა. მე-9 ადგილი დავიკავე. არ დამავიწყდება დაჯილდოებისას დიქტორის წარმოთქმული სიტყვები: მჩატე და ქვემსუბუქი წონის ძალოსნებო, დაიმახსოვრეთ რაფაელ ჩიმიშკიანის სახელი – თბილისში თქვენი ელვა და მეხი იზრდებაო. ისე შემრცხვა, არ ვიცოდი, სად დავმალულიყავი, თუმცა იმ სიტყვებმა დიდი სტიმული კი მომცა“.

როგორ ჩაუშვა ლუჩკინმა

„1948 წელს ლენინგრადში გამართულ საკავშირო ჩემპიონატზე სახელოვან სპორტსმენებს – ევროპის მაშინდელ ჩემპიონ ივან აზდაროვსა და საკავშირო ჩემპიონატების მრავალგზის გამარჯვებულ დიმიტრი დონსკოის ვაჯობე და მჩატე წონაში (56 კგ) პირველად გავხდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

მომდევნო წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატიც მჩატეში მოვიგე და მსოფლიოს მეორე სპორტული ფესტივალისთვის ვემზადებოდი. ამ შეჯიბრებას ბუდაპეშტი მასპინძლობდა. მოსკოვური შეკრებისას ბიჭებს შევჩივლე, მუცლის არეში ტკივილს ვგრძნობ-მეთქი. ივან უდადოვის მწვრთნელმა – ლუჩკინმა „ჩამიშვა“ და ექიმებმა უნგრეთში გამგზავრების უფლება არ მომცეს. ჩემს ნაცვლად უდადოვი წაიყვანეს და კარგი ჩიტიც დაიჭირეს – სამეულში ვერ მოხვდა. თბილისში დაბრუნებულმა ბრმანაწლავის ოპერაცია გავიკეთე, წონაშიც მოვიმატე და 60 კილოში გადავინაცვლე. 1950 წელს მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატები ერთდროულად გაიმართა პარიზში. შეკრება ლატვიაში გავიარეთ. აკვრაში მაშინ მსოფლიოს რეკორდი 135 კილოგრამი იყო, მე კი ვარჯიშებზე 140 კილოს თავისუფლად ვიმორჩილებდი. მწვრთნელთა საბჭოს სხდომაზე ბათუმელმა ვლადიმერ სვეტილკომ ქვემსუბუქ წონაში ლოპატინს დაუჭირა მხარი, არადა, მასზე უკეთ ვიყავი მომზადებული. მოსკოვში რომ ჩავედით, იქ შევიტყვეთ, რომ მჩატე წონის ივან უდადოვს საფრანგეთში არ უშვებდნენ – მეორე მსოფლიო ომისას გერმანელებს როსტოვში ტყვედ აუყვანიათ. „ზემოთ“ ლამის მიბრძანეს – წონას დაიკლებ და მსოფლიოზე 56-ში გამოხვალო. რაც მე შვიდი კილოგრამის დაკლებაზე ვიწვალე პარიზში – რამდენიმე დღე ორთქლის აბანოდან არ გამოვსულვარ, რამაც დამასუსტა, მაგრამ ევროპის ჩემპიონი მაინც გავხდი, მსოფლიოზე კი ვერცხლის მედალი მოვიპოვე. პირველი ადგილი ირანელმა მაჰმუდ ნამდიუმ დაიკავა“.

ოლიმპიური გვირგვინი

„ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულის სახელი მარადიულია – იგი ყოველთვის ჩემპიონად რჩება. ბევრჯერ მიოცნებია ამ ტიტულზე, მაგრამ იქ მისასვლელად საბჭოთა კავშირში ბევრი ბარიერი უნდა გადაგელახა. ძალოსანთა საკავშირო ნაკრების მწვრთნელები - კუცენკო, შატოვი და ნაზაროვი არმიელები იყვნენ და დიდ შეჯიბრებებზე ყოველთვის თანაკლუბელთა გაყვანას ცდილობდნენ. საბედნიეროდ, 1952 წელს ოლიმპიელთა სიაში მოვხვდი. ჰელსინკიშიც ჩემს წონაში სვერდლოვსკელი ძალოსანი ნიკოლაი საქსონოვიც წამოიყვანეს – მისი გაჩემპიონება სურდათ. ჩემდა ჭირად, ფინეთში გამგზავრების წინ ფილტვების ანთება დამემართა. როგორც ავადმყოფი, მატარებლის ბოლო ვაგონში გამამწესეს, რომელსაც „წითელი ჯვარი“ ეწერა. ჩემი მეგობრები – გივი კარტოზია და ვახტანგ ბალავაძე გვერდიდან არ მომშორებიან. ჰელსინკიში რომ ჩავედით, რამდენიმე დღეში ჩიტივით ვიყავი და კონდიციებიც აღვიდგინე. ოლიმპიურ ფიცარნაგზე აჭიმვაში ტრინიდადელმა როდრეი უილკისმა 7,5 კილოგრამით გამისწრო. მეორე მოძრაობაში – ატაცში საგრძნობლად გამოვასწორე მდგომარეობა და ორჭიდის ჯამში დავწინაურდი. ამ დროს ჩემთან მოვიდა გივი კარტოზია, დამამშვიდა და აბა, შენ იცი, არ შეგვარცხვინო, ჩემპიონობის გარეშე სოფელში არ დაბრუნდე, საქართველოში ოქროს წაღებაში კი მე და ვახტანგ ბალავაძე შეგეშველებითო, მითხრა. მერე მკლავი მკლავზე მომადო და სამჯერ ერთი და იგივე გაიმეორა – „ჩემი ძალა – შენ!“ უნებურად გამეცინა და სტრესული მდგომარეობა საერთოდ მომეხსნა. რას ვიფიქრებდი, წინ კიდევ ახალი ნერვიულობა თუ მელოდა: აკვრის პირველ ცდაზე 132,5 კილო შევუკვეთე, მაგრამ მწვრთნელებმა 130 კილოგრამზე მეტის უფლება არ მომცეს, საქსონოვმა კი ჩემი შეკვეთილი წონა აკრა და დაწინაურდა. უილკისი ძალიან ჩამორჩა. ვგრძნობდი, რომ მწვრთნელები ჩემპიონობისთვის საქსონოვს ამზადებდნენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მეორე ცდაზე ხელი მომეცარა, თუმცა, ღმერთი მაღალია და ყველაფერს ხედავს. მესამე ცდაზე 135 კილოგრამი ავკარი და სამჭიდის ჯამში 337,5 კილოგრამით მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდი დავამყარე. ოქროს ბედი საქსონოვის ბოლო ცდას უნდა გადაეწყვიტა. მან 140 კილო ვერ დაძლია და ოქროს მედალი მე მოვიპოვე, ხოლო საქსონოვი ვერცხლს დასჯერდა. ოლიმპიურ სოფელში გვიან ღამით მივედი. ბიჭებს არ ეძინათ – მელოდებოდნენ. გახარებულმა გივიმ და ვახტანგმა ავტობუსიდან საწოლამდე ხელში აყვანილი მიმიყვანეს“.

სტალინის ლანძღვა არ შეარჩინა

„1957 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, რომელსაც თეირანმა უმასპინძლა, საკავშირო ნაკრები სოხუმში ემზადებოდა. ამ დროს ბაქოში ამიერკავკასიისა და მოლდავეთის სპარტაკიადა გაიმართა. საქართველოს გუნდის ინტერესებისთვის ჩემთვის უჩვეულოდ მძიმე წონაში (67,5 კგ) ვიასპარეზე, არადა, 60.7 კილო ვიყავი. აშკარა ფავორიტი გახლდათ საკავშირო პირველობების არაერთგზის პრიზიორი, ბაქოელი რუსტამ ჰუსეინოვი. მასპინძლები იმდენად იყვნენ მის გამარჯვებაში დარწმუნებულნი, რომ პირველ ადგილზე გასულის სიგელი რომ გადმომცეს, ზედ ჰუსეინოვის გვარი ეწერა. შეჯიბრების ორგანიზატორებმა იქვე შეიტანეს სიგელში შესწორება. სოხუმში დაბრუნებულს კუცენკომ და შატოვმა არ დამიჯერეს, რომ ჩემპიონი გავხდი და ამბის გასაგებად თბილისში დარეკეს. უნდობლობის მიზეზი ნათელია – არ სურდათ თეირანში ჩემი წაყვანა. ბოლოს მაინც ჩამრიცხეს გუნდში, მაგრამ შეჯიბრებაზე ჩემს ნაცვლად მელბურნის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, მოსკოველი ევგენი მინაევი გამოიყვანეს, მან კი კვლავ წააგო ორთაბრძოლა ამერიკელ ისაკ ბერგერთან.

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ სპორტულ დარბაზში, რომელიც ირანის შაჰმა რეზა ფეჰლევიმ სპეციალურად ამ შეჯიბრებისთვის ააშენებინა, საზეიმო საღამო გაიმართა შაჰის თანდასწრებით. მონაწილეობდნენ მსახიობები და ის ძალოსნები, რომლებმაც ჩემპიონატზე ვერ იასპარეზეს. მათ შორის მეც ვიყავი. მაშინ ორი მსოფლიო რეკორდი მეკუთვნოდა ატაცსა და აკვრაში. იმ საღამოს ნახევარ-ნახევარი კილოგრამით ორივე გავაუმჯობესე.

ალბათ, გაგიკვირდებათ, ასეთ კონდიციებში მყოფმა მელბურნის ოლიმპიადაზე რატომ არ ვიასპარეზე... ავსტრალიაში გასამგზავრებლად ტაშკენტში ვემზადებოდით. ერთ საღამოს პარტიული კრება გაიმართა. ქართველთ მოძულე არკადი ვორობიოვმა სიტყვით გამოსვლისას სტალინი ლანძღა და აგინა. უკანა რიგებიდან მთაკაცი არსენ მეკოკიშვილი წამოიმართა, ვორობიოვთან მივიდა და ისეთი გაულაწუნა, საწყალი სამ მეტრზე მოისროლა. ატყდა მთელი ამბავი. მე ქართველ ფალავანს გამოვექომაგე. მეორე დღეს ძია არსენი შეკრებიდან დაითხოვეს, მე კი მელბურნში გამგზავრებისას ზედ ტრაპთან გამომიცხადეს – ოლიმპიადისთვის მზად არ ხარო. მეკოკიშვილის გამოქომაგება არ მაპატიეს...

თბილისში დაბადებულსა და გაზრდილს მთელი საქართველო მიყვარდა და მიყვარს. ოლიმპიური ჩემპიონობის შემდეგ მოსკოვსა და ერევანში ოქროს სასახლეებს მპირდებოდნენ, თუ ამ ქალაქებში გადავიდოდი საცხოვრებლად, მაგრამ მშობლიური თბილისისთვის, ჩემი უბნელებისთვის არასდროს მიღალატია. მე ხომ დედა გურული მყავდა, ბერიძის ქალი. მთელი ჩემი ცხოვრება ვმეგობრობდი და ვმეგობრობ ქართველ სპორტსმენებთან. მომავალშიც ჩვენი ბიჭების თანადგომა და იმედი ნუ მომიშალოს ღმერთმა“...

ოლიმპიური ჩემპიონი დღესაც მხნედ და ჭაბუკური შემართებითაა, არადა, ორიოდე დღის წინათ 88 წელი შეუსრულდა!

ჯანის სიმრთელეს და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ, ბატონო რაფაელ!

ვაჟა დანელია

◎ სულიერება

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღე

(აღესურლება სამადლობელი პარაკლისი და პანაშვიდი ავტოკეფალიის აღმდგენელთა სულის საოხად)

25 მარტს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღეს.

...ცნობილია, რომ ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში რომის იმპერიაში ავტოკეფალურ ეკლესიებად ითვლებოდნენ პროვინციათა საეპისკოპოსოები, რომელთა მეთაურები უშუალოდ ემორჩილებოდნენ იმპერატორსა და მსოფლიო საეკლესიო კრებას.

...V საუკუნეში მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის მეთაურებად ითვლებოდნენ: რომის პაპი, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, კონსტანტინოპოლის პატრიარქები.

მოგვიანებით, არაბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიებიდან ყველაზე ადრე დამოუკიდებლობა მოიპოვა საქართველოს ეკლესიამ.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად მსოფლიოში 15 ავტოკეფალიური მართლმადიდებლური ეკლესიაა.

რაც შეეხება საქართველოს სამოციქულო ეკლესიას, მისი ავტოკეფალია, ღვთის წყალობით, მსოფლიოს ყველა მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღიარა, მაგრამ ამ ფაქტის წერილობითი დასტური არ არსებობდა.

ნიშანდობლივია, რომ მხოლოდ 1990 წლის 4 მარტს, სრულიად საქართველოს პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II მცდელობით კონსტანტინოპოლის პატრიარქმა აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

* * *

25 მარტს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესია იხსენიებს წმინდა, კეთილმსახური მეფე თამარის შვილთაშვილის მეფე დემეტრეს ხსენებას.

სულიერი სათნოებით აღსავსე მეფე გონივრულად განაგებდა ქვეყანას...

მადლიერმა ქართველმა ერმა მას დემეტრე თავდადებული უწოდა.

* * *



26 მარტს დიდმარხვის მეოთხე კვირიაკეს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს იოანე სინელს, კიბისაღმწერელს („კლემაქსს“).

საგულისხმოა, რომ თავის თხზულებაში „კიბე“ იოანე სინელი მოგვითხრობს სამონაზვნო ცხოვრების შესახებ, ჭეშმარიტი, უბიწო ცხოვრების შესახებ, ჭეშმარიტი უბიწო ცხოვრების სრულყოფილების იდეას წარმოადგენს.

აღნიშნული ნაწარმოები ქართულად სამჯერ უთარგმნიათ.

გიული ლიპარტია

განცხადება

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში **„შპს კავკასიის სამთო ჯგუფი“**-ს მიერ, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში „ბნელიხევი“-ს საბადოს მადნის გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციის შედეგად გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის 2017 წლის 10 მაისს, 14.00 საათზე დანიშნული საჯარო განხილვა აღარ გაიმართება. ინფორმაცია, აღნიშნული საჯარო განხილვის გამართვის თაობაზე გამოქვეყნებული იყო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2017 წლის 16 მარტის №56 (8193) ნომერში.

საკონტაქტო პირი: მიხეილ კვარაცხელია, ტელ: 599 58 44 22

ადმინისტრაცია: ჯონდო შუბითიძე

გამოსათხოვარი

ვახტანგ ცხადაძე უახლოესი მეგობრების სახელით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი ვაჟკაცი, ქველმოქმედი და უღალატო მეგობარი

გურამ თელია

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 25 III 17 სთ. მის: ირ. აბაშიძის 10, გამოსვენება 26 III, 15 სთ. საბურთალოს წმ. გიორგის ეკლესიიდან.

◎ ჩვენი კარაბადინი

ცივი საჭმელები, ცხელი კერძები

ინდურ ალტერნატიულ მედიცინაში — აიურვედაში — ცხელი და ცივი საკვების ცნებები არსებობს. კერძოდ, ნათქვამია, რომ ცხელი კერძები ორგანიზმში ანთებითი პროცესების — გაციებიდან დაწყებული კიბოთი დამთავრებული! — პროვოცირებას ახდენენ, ცივები კი ამათ აღშობენ.

აიურვედა ანუ „სიცოცხლის შესახებ მეცნიერება“ და მისი „ღვიძლი და“ — ტიბეტური მედიცინა, უნიკალურ მოდელებს წარმოადგენენ,

რომლებიც თითოეული პაციენტისადმი ინდივიდუალურ (მათ შორის, კვების საკითხშიც) მიდგომას ითვალისწინებს.

ტიბეტური მედიცინის სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ **სნეულებისგან განსაკურნებლად საკმარისია კვების ტიპის შეცვლა**. და პირიქით: კვების საკუთარი სისტემისგან გადახრას ორგანიზმში დისბალანსის გამოწვევა შეუძლია, რასაც ავადმყოფობის წარმოშობის საფრთხე შეიძლება მოყვეს. ამავე დროს საჭიროა, გვახსოვდეს, რომ **ცხელი საკვები ყოველთვის სახიფათო არ არის — სიცივის ავადმყოფობების დროს ის მკურნალია, ცივი საკვები კი, პირიქით, სიცხის სნეულებებს კურნავს.**

სიცხის სნეულებანი

მათ მიეკუთვნებათ ხანძართან შესადარი ავადმყოფობები, რომლებიც სწრაფად წარმოიშვებიან და კაცს მალევე კლავენ. საერთო სიმპტომებია: სხეულში სიცხის შეგრძნება, მწარე გემო პირში, უძილობა, ოფლიანობა, თავის ტკივილი, მომატებული წნევა, გულის ფრიალი, კანის ქავილი.

ამის მიზეზი შეიძლება იყოს: გულისა და სისხლძარღვთა დაავადებები, არტერიული წნევის ნახტომისებური ცვლილებები, ინფარქტები, ინსულტები, ღვიძლის ან ელენთის, ასევე ინფექციური დაავადებები, მუცლის მწვავე ტკივილები, პირღებინება და ფაღარათი.

სიცივის სნეულებანი

ისინი თანდათანობით ნელა ვითარდებიან, რის მიზეზი შეიძლება იყოს როგორც გარეშე სიცივე, ასევე ცივი საკვების მიღება. საერთო სიმპტომებია: შემცივნება, სიფითრე, უგუნებობა, სისუსტე, ძილის მორევა და სუსტი, ყრუ ხმა.

ამის მიზეზი შეიძლება იყოს: ალერგია, ასთმა, თირკმლებისა და საშარდე სისტემის, ასევე სახსრების დაავადებები, ბრონქიტები და ათეროსკლეროზი, ნევრალგიები, ნევრიტები, იშიაზი, ონკოლოგია, შაქრის დიაბეტი.

ცხელი საჭმელებია: ცხარე, შემწვარი, მარილიანი, ცხელი, ცხვრის და ხბოს ხორცი, ნაღების კარაქი და ცხოველური წარმოშობის ცხიმები, სტაფილო, ადუღებული რძე, ხილი და ბოსტნეული, რომლებიც მიწის ზედაპირზე იზრდება (მათ შორის, ვაშლი, ყურძენი, ატამი, კომში, პომიდორი), გამათბობელი სანელებლები და საკმაზები (ხახვი, ნიორი, დარიჩინი, პილპილი).

ცივი საჭმელებია: ხორცი (ღორისა და ქათმის), კარტოფილი, თევზი, მარცვლოვანები (ბრინჯი, პრასი, ხორბალი, წიწიბურა), უმი რძე, ბოსტნეული, რომელიც მიწაში იზრდება (კარტოფილი, ჭარხალი, ბოლოკი, სტაფილო).

როცა დაავადება უკან იხევს

ცნობილი სახალხო მკურნალის, ქალბატონ მაყვალა ცინცაძის უძველესი საოჯახო სამკურნალო ტრადიციების გამგრძელებელი ნანა მელია-პაიჭაძე წინაპრების მიერ გადმოცემული ტექნოლოგიით სწრაფად და ეფექტურად მკურნალობს ჰაიმორიტს და ასევე მკურნალობს მცენარეული საფენ-მალამოებით 1. ძვალ-სახსროვან დაავადებებს: მარილებს, კისრის, მუხლსახსრის, მენჯ-ბარძაყის ართროზს; 2. ოსტეოქონდროზს; 3. რადიკულიტს; 4. დისკოზს; 5. ნერვის და სახსრების ანთებას; 6. ფეხის ტერფის, ქუსლის ტკივილს.

ვისაც გსურთ სწრაფად, ეფექტურად მკურნალობა და უპირატესობას ანიჭებთ საუკუნეებგამოვლილ, აღიარებულ მცენარეულ მალამოებს, შეგიძლიათ, მიაკითხოთ ქალბატონ ნანას მისამართზე: *ქ. თბილისი, წერეთლის მე-3 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული.* ნანა მელია-პაიჭაძე. ტელ: 2 34 62 51. 557 25 66 17. 599 20 19 66.

მამა მიქაელ ბოტკოველი პატრიარქის მდივნის თანამდებობაზე დაბრუნდა

მამა მიქაელ ბოტკოველი პატრიარქის მდივნის თანამდებობაზე დაბრუნდა. გავრცელებული ინფორმაციით, თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ მის განცხადებას პატრიარქმა ხელი არ მოაწერა.

პატრიარქის მდივნის თანამდებობა დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა ცოტა ხნის წინ, პროტესტის ნიშნად დატოვა. მას დაპირისპირება ჰქონდა პატრიარქის დაცვის ყოფილ უფროს სოსო ოხანაშვილთან.

განცხადება

2017 წლის 14 მაისს, 12:00 საათზე, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში (მისამართი: დ. მესტია, სეტის მოედანი N1) გაიმართება ლუხრა ჰესის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვა.

საქმიანობა ითვალისწინებს მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლების დიზის და შდიღირის ტერიტორიაზე 3,55 მვტ სიმძლავრის ჰესის (ლუხრა ჰესი) მშენებლობას და ექსპლუატაციას.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში და შპს „G.N. corporation“-ის ოფისში (მის: მაზნიაშვილის 4 ტელ:599 18 17 53).

დოკუმენტაციასთან დაკავშირებით შენიშვნების მიწოდება შეგიძლიათ შემდეგი პირებისთვის: დავით კობერიძე ტ. 591410000; პაატა ჭანკოტაძე. ტელ: 599 18 17 53; E-mail: paatachank@yahoo.com;

შენიშვნების წარმოდგენის ვადაა მოცემული განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღე.

შპს „ეკოჰიდროპლიუსის“ ადმინისტრაცია

ქართველი მეცნიერის წარმატება დიდ ბრიტანეთში

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორმა ეკონომიკაში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს ტექნოლოგიების დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორმა ნათია შენგელიამ 2017 წ. 20 მარტს ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტი დაამთავრა და მას შესაბამისი ხარისხი მიენიჭა. დიპლომის გადაცემა (დაჯილდოვება) მოხდება 2017 წლის ივნისში ოქსფორდის უნივერსიტეტში.

საგულისხმოა, რომ 2016 წლის იანვარში ნათია შენგელიას ასევე გადაეცა საერთაშორისო სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) საერთაშორისო დიპლომი აღრიცხვასა და ბიზნესში. იგი ასევე პროფესიული სტაჟირებით იმყოფებოდა დიდ ბრიტანეთში, ქ. ლონდონში.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარდგინებით 2014 წელს მან მოიპოვა საქართველოს პრეზიდენტის გრანტი ახალგაზრდა მეცნიერთათვის. იგი არის მონოგრაფიების და 45-ამდე სტატიის ავტორი და თანაავტორი ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

◎ ინტერნეტიდან

მელანია ტრამპი სპორტით დაინტერესდა

ამერიკის პირველი ლედი მელანია ტრამპი ცნობილ ქალთა იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც დიდი სპორტული ცხოვრებით არასოდეს გამოირჩევიან და მათთვის სხვადასხვა სახის წვეულებებზე კეკლუცობა უფრო საამოა, ვიდრე სპორტულ დარბაზში ოფლისღვრა.

თუმცა, პოლიტიკური გარემო ყოველთვის თავისას შვრება და მას შემდეგ, რაც მისის ტრამპი ამერიკის პირველი ლედი გახდა, უცებ, „ჰოი, საოცრებავ!“, სპორტისა და სპორტული ცხოვრების პროპაგანდას მიჰყო ხელი და ამ რამდენიმე დღის წინათ ისიც კი განაცხადა, რომ სპორტი მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.



ისე, კაცმა რომ თქვას, მართლაც დიდებული და საამო სანახავი იქნება სხეულზე კოხტად მორგებულ სპორტულ ამუნიციაში გამოწყობილი და კუნთების გამკაჟებელი ქალბატონი მელანია, მაგრამ ერთია, ჩვენ რა გვინდა, მეორე კი ისაა, თეთრ სახლში როგორი გუნებისა და ყაიდის ქალბატონი წამოდრანგულა.

როსტომ რაჭველიშვილი

საქართველოში მიწისძვრები გახშირდა



საქართველოში გამთენიისას მიწისძვრა მოხდა. თბილისიდან დაახლოებით 60 კილომეტრში, ქალაქ წალკაში, სოფელ ფარავანში სამი მიწისქვეშა ბიძგი დაფიქსირდა. ბიძგები რამდენიმე წუთის ინტერვალით განმეორდა.

მიწისძვრის სიმძლავრე პირველ შემთხვევაში 3,7 მაგნიტუდას, მეორე შემთხვევაში 3 მაგნიტუდას, მესამე შემთხვევაში კი 2,9 მაგნიტუდას შეადგენდა.

ცოლ-ქმრული შუქ-ჩრდილები

ქორწინება ქალის სიცოცხლეს საშუალოდ წლინახევრით ამოკლებს, მიაჩნიათ გერმანიის ქალაქ მაგდებურგის მეცნიერებს.

მკვლევარებმა ევროპის სხვადასხვა ქვყანაში ორივე სქესის 100 ათასი მოქალაქის შესახებ მონაცემები შეაგროვეს. შედეგად გაირკვა, რომ **ქორწინებაში ყოფნა მამაკაცის სიცოცხლეს საშუალოდ 1,7 წლით ახანგრძლივებს, ქალის სიცოცხლეს კი საშუალოდ 1,4 წლით ამოკლებს.**

მეცნიერთა აზრით, გათხოვილ ქალთა სიცოცხლის შემცირება გაუთხოვრებთან შედარებით, შესაძლოა, მუდმივი სტრესი იყოს, რომლის მიზეზი სამუშაოსა და საოჯახო მეურნეობის შეთავსების აუცილებლობაა. მეორე მიზეზი უფრო უცნაურია და, როგორც ჩანს... ქმრების მავნე ჩვევების გადაღების ქალთა უნარში მდგომარეობდეს. კერძოდ, ბევრი თამბაქოს არამწეველი ქალი მწეველ მამაკაცზე გათხოვების შემდეგ თავად იწყებს სიგარეტის მოწევას.

გარდა ამისა, ქალის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე უარყოფით ზეგავლენას ასევე ახდენს... რეგულარული სქესობრივი ურთიერთობები. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, **სექსი ამოკლებს ქალების სიცოცხლეს, თუმცა კი სასარგებლოა მამაკაცებისთვის,** ვინაიდან რეგულარული სქესობრივი ცხოვრება მამაკაცის ორგანიზმში სასიკეთო ჰორმონალურ ცვლილებებს იწვევს.

ვინაა რწმენის მესაჭე?

ცოტა ხნის წინათ დალაი ლამამ დასაშვებად მიიჩნია მომავალში ბუდისტების სულიერ ლიდერად ქალის არჩევის შესაძლებლობა.



მაგრამ, საქმე ისაა, რომ მოქმედი დალაი ლამას გარდაცვალებიდან გარკვეული ხნის შემდეგ, მომავალ სულიერ ლიდერს ბუდისტი ბერები საუკუნეების მანძილზე ცნობილი ნიშნებით ირჩევენ, ამდენად როგორ შეიძლება ამის პრაქტიკულად განხორციელება, ძნელი წარმოსადგენია.

ამასთან, მამაკაცისა და ქალის როლები მსოფლიო რელიგიების წმიდა წიგნებში – სახარებაში, თორაში, ყურანში, წინასწარვეა განსაზღვრული. ქალი – დედაა, კერიის მცველი, მამაკაცი ქვეყნის პატრონი, მისი ამოცანაა ღმერთის სამსახური. რაც უფრო ძველია რელიგია, მით უფრო მკაცრად იცავენ მის ტრადიციებს. ქრისტიანობაში ტრადიციებიდან გადახვევის უფლებას თავს ახალგაზრდა პროტესტანტული მიმდინარეობები აძლევენ. მაგალითად, ეპისკოპოსი ქალები არიან ანგლიკანურ და ლუთერანულ ეკლესიებში. უწინ ქრისტიანულ საყდრებში დიაკვანი ქალებიც იყვნენ.

ამდენად, ზოგიერთ ღვთისმეტყველს მიაჩნია, რომ მათი დაბრუნება ბოლომდე გამორიცხული არ არის, თუმცა კი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ **არც მართლმადიდებლობაში, არც კათოლიციზმში ქალი ვერასდროს გახდება პატრიარქი ან რომის პაპი.**

შეუღლების დრო-ჟამი

დასავლეთელი მეცნიერები ხშირად აცხადებენ, რომ არის ქორწინებისთვის უიღბლო წლები, სახელდება კონკრეტული თარიღებიც, მაგალითად, 1986, 1988, 1991, კიდევ სხვა წლები.

ასტროლოგ თამარ გლობას აზრით კი, თუკი ქალ-ვაჟს ერთმანეთი უყვარს, ისინი აუცილებლად უნდა შეუღლდნენ! მისი თქმით, **ქორწინებისთვის უიღბლო წლები, უბრალოდ, არ არსებობს,** რადგან თითოეული ჩვენგანი განუმეორებელი ინდივიდია.

არის ქორწინებები, რომელთა „შემდუღაბებელი“ ძალა ათწლეულების მანძილზე... ოჯახური უსიამოვნებებია. გარედან ყოველივე საშინელი აღსაქმელია, არადა ასეთი ცოლ-ქმარი თავს სავსებით ბედნიერად გრძნობს, ოჯახური აყალმაყალი მათ სიმხნევესა და სიცოცხლის ხალისს ჰმატებთ.

საქმე ისაა, რომ ბედნიერება ცხოვრების უაღრესად ინდივიდუალური აღქმაა. თუმცა კი ქალბატონი გლობა ერთ დარიგებას მაინც იძლევა: **იგი არ ურჩევს წყვილს ახალმთვარეობის წინ, ასევე მთვარის კალენდრის მე-9 და 29-ე დღეებში, ასევე მზის დაბნელების დღეებში დაქორწინებას, რადგან ეს მძიმე დღეებია. ახალმთვარეობა კი ნებისმიერი წამოწყებისთვის, მათ შორის, ცხადია, ახალი ოჯახის შესაქმნელადაც მეტად ხელსაყრელი დროა.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4509; ევრო - 2.6443;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0641;
100 რუბლი - 4.2605; თურქული ლირა - 0.6769;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4375;
1000 სომხური დრამი - 5.0775.

ამინდი 25 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0	დღე	+16
მთიანი რაიონები -	ღამე	-7,	დღე	+16
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+2,	დღე	+19
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+18
თბილისი:	ღამე	+4,	დღე	+14

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge